# საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში

წინამდებარე ანგარიში ასახავს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის (შემდგომში - საგამოძიებო კომისია) მიერ განხორციელებულ საქმიანობას

საანგარიშო პერიოდია 2013 წლის 01 მაისი - 2013 წლის 26 ივლისი

## 1. ინფორმაცია საგამოძიებო კომისიის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 1 მაისის დადგენილებით შეიქმნა.

საგამოძიებო კომისიის საქმიანობა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტითა და საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2013 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის დებულებით“.[1]

საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზანია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში - სკეკ-ი, მარეგულირებელი კომისია) წევრთა მიერ დარღვევების ჩადენის საკითხის შესწავლა და აღნიშნულ საკითხზე დასკვნების, გადაწყვეტილებების პროექტების, რეკომენდაციებისა და წარდგინებების მომზადება საქართველოს პარლამენტის ბიუროსა და პლენარული სხდომისათვის.

საგამოძიებო კომისიის წევრები არიან: თინათინ ხიდაშელი (თავმჯდომარე), სერგო ხაბულიანი (თავმჯდომარის მოადგილე), ანი მიროტაძე (მდივანი),ერეკლე ტრიპოლსკი, გელა სამხარაული (ცვლილება - ირაკლი ჩიქოვანი), ზურაბ ტყემალაძე (ცვლილება - პაატა კიკნაველიძე), ლევან ბეჟაშვილი, გიორგი კარბელაშვილი, პაატა ლეჟავა, გურამ მისაბიშვილი, რევაზ შავლოხაშვილი, ზურაბ ჩილინგარაშვილი, თამარ კორძაია, დავით საყვარელიძე.

საგამოძიებო კომისია, მისი საქმიანობის ფარგლებში აქტიურად თანამშრომლობდა იმ არა-სამთავრობო ორგანიზაციებთან რომელთა მხრიდან შესწავლას დაქვემდებარებული თემატიკისა ცოდნა და ექსპერტული გამოცდილება განსაკუთრებით გამოირჩეოდა წლების განმავლობაში. სწორედ აღნიშნული

[1] იხ. http://parliament.ge/images/debuleba-mareg-kom.pdf

თანამშრომლობის ფარლებში საქართველოს პარლამენტში შედგა „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს", „ლევან მიქელაძის სახელობის ფონდისა" და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" კვლევების პრეზენტაციები. მათ საგამოძიებო კომისიის სხდომაზე წარმოადგინეს თავიანთი ორგანიზაციების მიერ მარეგულირებელი კომისიის საქმიანობაზე განხორციელებული მონიტორინგისა და მომზადებული კვლევის შედეგები. დაგეგმილია კიდევ ერთი ორგანიზაციის ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის კვლევის პრეზენტაცია.

ამასთან 2013 წლის 11 ივლისს საგამოძიებო კომისიის სხდომაზე მოხდა საქართველოს რეგიონული მაუწყებლების ასოციაციის (GARB) მიერ საგარეჯოს მაუწყებელთან დაკავშირებით მომზადებული ფილმის „ფართოდ დახუჭული თვალის" ჩვენება.

*კომისიის სახელით მადლობა გვინდა გადავუხადოთ აღნიშნულ ორგანიზაციებს ქმედითი დახმარებისათვის და იმედს ვიტოვებთ რომ ჩვენი თანამშრომლობა კიდევ უფრო პროდუქტიული იქნება საგამოძიებო კომისიის მანდატის მეორე ეტაპზე.*

## 2. კვლევის მეთოდოლოგია

კანონით და პარლამენტის დადგენილებით გათვალისწინებული საქმიანობის წარმატებით განხორციელების მიზნით კომისია საპარლამენტო გამოძიებისა და კვლევის საერთაშორისოდ აპრობირებული სხვადასხვა მეთოდებით ხელმძღვანელობდა.

ბუნებრივია ჩვენი ინფორმაციის მთავარ რესურსს ოფიციალური წყაროებიდან მოპოვებული ცნობები და დოკუმენტები წარმოადგენდა. შესაბამისად კომისიის თავმჯდომარის სახელით სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებსა და

იურიდიულ პირებთან 270 განცხადება[2] გაიგზავნა, რასაც უმრავლეს შემთხვევებში კანონის მოთხოვნების დაცვით პასუხობდნენ ადრესატები და გვაწვდიდნენ ჩვენს მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას[3]. თუმცა, სამწუხაროდ იყო განსხვავებული შემთხვევებიც რაზეც ქვევით გვექნება საუბარი.

*განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, ეფექტური თანამშრომლობისა და სწრაფი და ამომწურავი ინფორმაციის მოწოდებისათვის.*

ოფიციალური ინფორმაციის შესწავლისა და შეჯერების გარდა კომისია ასევე მიმართავდა სხვა მეთოდებს. მათ შორის, სამი თვის მანძილზე განხორციელდა:

1. რამდენიმე ათეული შეხვედრა ექსპერტებთან და დარგის პროფესიონალებთან;
2. საჩივრების შესწავლა და მოყვანილი დარღვევებისა და გადაცდომების სრულყოფილი ანალიზი დამოუკიდებელ წყაროებზე დაყრდნობით;
3. მოწმეების გამოკითხვა;
4. სტატისტიკური, მათ შორის ფინანსური ანალიზი;
5. ტექნიკური პარამეტრების კვლევა;
6. წლების განმავლობაში, კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებით მედიაში გავრცელებული ცნობების მოძიება, და მათი სისწორის ფაქტობრივი ანალიზი.

ანგარიშის დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს რომ საჩივრების სიმრავლის, ინფორმაციის დიდი ოდენობისა და მთელი რიგი კომპანიების, ასევე თავად კომისიის მხრიდან მოთხოვნილი ინფორმაციის მოწოდების დაგვიანების გამო, დღევანდელი მდგომარეობით ბევრი საკითხი განხილვისა და შესწავლის სტადიაზეა და შესაბამისად წინამდებარე ანგარიშში არ არის ასახული.

[2] 270 გაცხადებიდან 73 გაგზავნილია სახელმწიფო დაწესებულებებში, ხოლო 197 კორესპონდენცია ჩაბარდა კერძო მაუწყებლობის ლიცენზიის მქონე სუბიექტებსა და საკაბელო ოპერატორებს

[3] გამოთხოვილი ინფორმაციის შესახებ სრული ინფორმაცია იხილეთ დანართში.

## 3. ინფორმაცია საგამომძიებო კომისიის სახელზე შემოსული საჩივრების და კომისიის მიერ მოკვლევის სტადიაზე მყოფი საქმეების თაობაზე

### 3.1. შპს „სუპერ ტვ" (ყოფილი „აიეტი")

საგამომძიებო კომისიის სახელზე 2013 წლის 27 მაისს წარმოდგენილ საჩივარში შპს „სუპერ ტვ"-ის დამფუძნებელი ზურაბ ჩიგოგიძე განმარტავს, რომ 2011 წლის თებერვალში ირაკლი ჩიქოვანმა აიძულა კაბალური ხელშეკრულება გაეფორმებინა შპს ,,გლობალ მედია ჯგუფთან" (GMG). ხოლო მას შემდეგ რაც ითხოვა ხელშეკრულების შეწყვეტა ორგანიზაციაზე დაიწყო მასშტაბური ზეწოლა. „აქვე შეგვიძლია დავაფიქსიროთ, რომ ირაკლი ჩიქოვანის მხოლოდ ამ იძულების წყალობით „სუპერ ტვ"-ის მიადგა ნახევარ მილიონამდე ლარის მატერიალური ზიანი" - აღნიშნულია საჩივარში.

სუპერ ტვ-ის საჩივარი, 2012 წლის 18 ოქტომბერს საქართველოს მთავარ პროკურორსაც ჩაბარდა, სადაც აგრეთვე დეტალურადაა აღწერილი თუ როგორ შედგა რამოდენიმე შეხვედრა სკეკ-ში, მათ შორის კომისიის წარმომადგენლებთან და როგორ ხდებოდა მითითებების გაცემა შპს „გლობალ მედია ჯგუფთან" (GMG) ხელშეკრულების გაფორმების მიზნით.

საჩივარში მოყვანილი ფაქტები დასტურდება მარეგულირებელი კომისიის საქმიანობის ანალიზით. ზურაბ ჩიგოგიძის მიერ მოხსენიებული შეხვედრები და ზეწოლის პერიოდები სრულად ემთხვევა კომისიის მხრიდან კომპანიის წინააღმდეგ სანქციების გამოყენების ინტენსიურ ეტაპს, ხოლო თავად სანქციების მიზანშეწონილობა საეჭვო და დისკრიმინაციულია.

მაგალითად, 2011 წლის 27 აპრილს კომისიამ კომპანიას მოსთხოვა საკუთარ

ქსელში განთავსებული ყველა ადგილობრივი და უცხოური არხების რეტრანსლირების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა. შპს „სუპერ ტვ"-მ აღნიშნული დოკუმენტაციის სრულად წარდგენისათვის ითხოვა ერთ თვიანი ვადა, კომისიამ აღნიშნული არ დააკმაყოფილა, ამასთანავე არავითარი სხვა, თუნდაც შემცირებული ვადა არ განისაზღვრა და ავტომატურად განხორციელდა კომპანიის დასანქცირება.

კომისიის დისკრიმინაციული მიდგომის დასამტკიცებლად კი საკმარისია, იმის აღნიშვნა, რომ კომპანიის მრავალი მცდელობის მიუხედავად, სხვა არხების მიერ გაფორმებული ანალოგიური ხელშეკრულებების არსებობის თაობაზე ინფორმაციის გაცემაზე კომისია მუდმივად უარს აცხადებდა, ხოლო მოგვიანებით, პრობლემის მოგვარების მიზნით კომისიამ მსგავსი ხელშეკრულებები კომერციულ საიდუმლოებად ცნობა და ყოველგვარი ხელმისაწვდომობა შეუძლებელი გახადა.

კიდევ ერთი მაგალითი კომისიის მხრიდან კანონსაწინააღმდეგოდ სანქციის გამოყენების კომისიის 2011 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებაა, როდესაც „სუპერ ტვ"-ის წინააღმდეგ სანქცია გამოიყენეს იმის გამო რომ კომპანიამ დამფუძნებლების ცვლილება არ აცნობა კომისიას.

პირველ რიგში, შეუძლებელია თავისთავად გამართლებული და მიზანშეწონილი იყოს კომპანიის მხრიდან იმგვარი ინფორმაციის კომიისათვის დაგვიანებით მიწოდება რაც საჯარო სივრცეში ისედაც ცნობილია. დამფუძნებლების ცვლილების შესახებ ინფორმაცია კომისიას შეუძლია მიიღოს ნებისმიერ მისთვის საჭირო მომენტში იუსტიციის სამინიტროდან, და შესაბამისად კომპანიის მხრიდან ამგვარი ინფორმაციის მიწოდების დაგვიანება ვერ ჩაითვლება რაიმე ტიპის დანაშაულად ან ბოროტი განზრახვით დაფარვად.

მეორე, ,,ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მეორე პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტი, ანუ კანონის დებულება რომელიც დამფუძნებლის ცვლილებების შემთხვევაში აღნიშნული დოკუმენტის კომისიაში წარდგენის ვალდებულებას ადგენდა საქართველოს პარლამენტის მიერ კანონში

განხორციელებული ცვლილებების შედეგად ძალაში მხოლოდ 2011 წლის 2 მაისს შევიდა, და შესაბამისად, კომპანიას 2011 წლის 20 აპრილს მსგავსი ვალდებულება ვერ წარმოექმნებოდა, ვინაიდან კანონი იმ მომენტისათვის მსგავს დებულებას არ ითვალისწინებდა. არ არსებული დარღვევისათვის კომპანია 8,295 ლარით დაჯარიმდა.

საჩივრის ავტორი ასევე უკანონოდ მიიჩნევს კომისიის 2011 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებას საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით სანქციის დაწესების თაობაზე. ვინაიდან განმცხადებელი მიიჩნევს, რომ კომისია იმ პერიოდისათვის არ იყო უფლებამოსილი განეხილა საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული დავები. კომისია იზიარებს ბატონი ჩიგოგიძის არგუმენტს, ვინაიდან, კანონში ცვლილება 2011 წლის 20 დეკემბერს შევიდა და დაჯარიმების მომენტისათვის ის ძალაში ჯერ კიდევ არ იყო შესული[4].

საჩივრის ავტორი ასევე მიუთითებს პირადად ირაკლი ჩიქოვანის კიდევ ერთ მოთხოვნაზე, ამოეღოთ შპს „სტუდია მაესტროს" არხი საკაბელო ქსელიდან. „აღნიშნულ შეხვედრაზე ირაკლი ჩიქოვანმა ასევე მითხრა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება შეთანხმებული იყო საქართველოს იუსტიციის მინისტრთან და რომ იგი მოქმედებდა უშუალოდ ზურაბ ადეიშვილის დავალებით".

აღსანიშნავია, რომ მარეგულირებელ კომისიასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ზეწოლაზე, იძულებასა და სხვა მიმდინარე მოვლენებზე განმცხადებელმა სამჯერ მიმართა საქართველოს პრეზიდენტს. თუმცა დაინტერესებული პირის წერილებს რეაგირება არ მოჰყოლია.

კომისიის საქმიანობის პერიოდში კომისიის თავმჯდომარეს საჩივარში მითითებული დეტალების დაზუსტების მიზნით ჰქონდა პირველადი გასაუბრება ბატონ ჩიგოგიძესთან და იგი მზად არის კომისიას მისცეს ჩვენება საჯარო, ღია სხდომაზე.

---

[4] ამ თემაზე დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ დანართი #3

### 3.2. შპს „ახალი ქსელები"

კომპანია „გლობალ მედია ჯგუფის"-სათვის ხელოვნურად უპირატესობის მინიჭებაზე საუბრობს საკუთარ საჩივარში კიდევ ერთი კომპანია შპს „ახალი ქსელები" და საგამომძიებო კომისიაში აცხადებს რომ „მან (იგულისხმება ირაკლი ჩიქოვანი) შექმნა საკაბელო კომპანია ჯი-ემ-ჯი (იგულისხმება შპს „გლობალ მედია ჯგუფი") და იმ საფუძვლით, თითქოს მხოლოდ მას ჰქონდა უცხოური არხების რეტრანსლირების უფლება (დამადასტურებელი საბუთები საჩივრის ავტორის მოსაზრებით არავის უნახავს) და დანარჩენები აიძულეს მასთან გაეფორმებინათ ხელშეკრულებები."

კერძოდ, კომპანიის მიერ 2013 წლის 02 ივლისს წარმოდგენილი საჩივარი შეეხება საავტორო და მომიჯნავე უფლებების რეგულირების საკითხებს. 2010 წლის 16 ივლისის #331/18 გადაწყვეტილების საფუძველზე კომისიამ შპს „ახალი ქსელები" დაასანქცირა 30 000 ლარით საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევის ფაქტზე. კომპანია გადაწყვეტილებას უკანონოდ მიიჩნევს და მის მოტივაციას კომპანია GMG-ისათვის ხელოვნურად ხელსაყრელი პირობების შექმნით ხსნის. მათი განცხადებით კომისიას მსგავს საკითხებზე მსჯელობის კომპეტენცია საერთოდ არ ჰქონდა, ვინაიდან კანონით საავტორო და მომიჯნავე უფლებების საკითხებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარდგენის ვალდებულება 2010 წლის ივლისში უბრალოდ არ არსებობდა. შეგახსენებთ რომ ანალოგიური მოტივით სანქცია იყო გამოყენებული კომპანია „სუპერ ტვ"-ის წინააღმდეგაც.

აღნიშნული არგუმენტი სამართლებრივად აბსოლუტურად დასაბუთებულია, ვინაიდან ,,ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მეორე პუნქტის „ა" ქვეპუნქტში დებულება „აგრეთვე საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია" სანქციის გამოყენების მომენტში ნამდვილად არ არსებობდა და კანონში ცვლილება მხოლოდ 2011 წლის

დეკემბრის ბოლოს შევიდა[5]. კანონით ისეთი საკითხის რეგულირება, რომელზეც მანამდე არავითარი ვალდებულება არ არსებობდა, ბუნებრივია საუკეთესო მაგალითია იმ კომპანიების არგუმენტების გასამლიერებლად, რომლებიც ანგარიშსწორებაზე და კომისიის დისკრიმინაციულ პოლიტიკაზე მიუთითებენ.

კომისიის საქმიანობის პერიოდში კომისიის თავმჯდომარეს საჩივარში მითითებული დეტალების დაზუსტების მიზნით ჰქონდა პირველადი გასაუბრება საჩივრის ავტორთან და იგი მზად არის კომისიას მისცეს ჩვენება საჯარო, ღია სხდომაზე.

### 3.3. შპს „ნორმა"

საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევისათვის უკანონოდ დაკისრებულ სანქციაზე დავობს კიდევ ერთი კომპანია შპს „ნორმა". საუბარია კვლავაც შესაბამისი საკანონდებლო ცვლილების გატარებამდე, ანუ იმავე 2010 წელს დაჯარიმებაზე.

2010 წლის 23 ივნისის #342/18 გადაწყვეტილებით შპს ,,ნორმას" დაეკისრა ჯარიმა 10 000 ლარის ოდენობით სატელევიზიო არხი ,,**культура**"-ს სატელევიზიო გადაცემა ,,მხატვრული ფილმის" საქართველოს ტერიტორიაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი ხელშეკრულების გარეშე გადაცემისთვის (საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევა). შპს ,,ნორმას" მიერ კომისიისთვის წარდგენილია 2008 წლის 1 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულება ,,საქართველოს საკაბელო ტელევიზიების კავშირის" მიერ შპს ,,ნორმასთვის" ,,**культура**"-ს და სხვა სატელევიზიო არხების ყოველდღიური სატელევიზიო პროგრამების საკაბელო ტელემაუწყებლობის ტრანზიტის უფლების მინიჭების თაობაზე. აღნიშნული ხელშეკრულების 7.1 პუნქტის თანახმად, მხარეები თანხმდებიან რომ წინამდებარე

[5] საქართველოს კანონი, საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №26, 06.06.2005)

ხელშეკრულება ძალაში შედის 2008 აპრილიდან და მოქმედებს 2008 წლის 31 დეკემბრამდე. ამავე ხელშეკრულების 7.2 პუნქტის თანახმად ,,თუ ხელშემკვრელმა მხარეებმა ხელშეკრულების ვადის გასვლამდე 15 დღით ადრე არ მიმართეს ურთიერთს წერილობით ხელშეკრულების მოშლაზე, ხელშეკრულება ავტომატურად გრძელდება შემდგომ პერიოდზე."

აღნიშნულ შემთხვევაში საინტერესო ფაქტი ის არის, რომ კომისიამ საკუთარი ინიციატივით, დაიწყო საქმის შესწავლა და გამოარკვია რომ მიუხედავად იმისა, რომ დავის მომენტისათვის ხელშეკრულება კანონიერ ძალაში იყო და შპს „ნორმას" სატელევიზიო არხ ,,культура"-სთან მიმართებაში უფლებები ქონდა მოპოვებული, სატელევიზიო არხი Культура-ს (ლოგო: РоссияК) კონკრეტული პროგრამა "მხატვრული ფილმის" საქართველოში რეტრანსლირების უფლება არ ჰქონდა.

შპს ,,ნორმას" მიჩნია, რომ აღნიშნული მოკვლევის დაწყების და სანქცირების შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველი იყო მათი დირექტორის ნუგზარ მაჭარაშვილის სატელევიზიო ინტერვიუ ტელეკომპანია ,,სტუდია მაესტროს" ეთერით, სადაც ის აკრიტიკებდა სკეკ-ის ხელმძღვანელობას არათანაბარი მიდგომისთვის საკაბელო კომპანიების მიმართ;

საგამოძიებო კომისია აგრძელებს უშუალოდ ხელშეკრულებების ანალიზს და საბოლოო დასკვნაში შემოგთავაზებთ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელიც დადგინდება კვლევის პროცესში, თუმცა დღეს რაც დაზუსტებით შეიძლება ითქვას არის სწორედ კომისიის მიერ ამ კონკრეტული საკითხის მოკვლევის დაწყება.

*მთავარი კითხვა რომელზეც კომისიას პასუხი არ აღმოაჩნდა მდგომარეობს იმაში თუ როგორ, რა პრინციპით და რა სამართლებრივი საფუძვლით ახორციელებდა ეს უკანასკნელი საქმეების შერჩევას.*

*იმ შემთხვევაში თუკი გავაკეთებთ დაშვებას რომ მარეგულირებელ კომისიას 2011 წლის 20 დეკემბრამდე, ანუ ცვლილებების ძალაში შესვლამდე ჰქონდა საავტორო და მომიჯნავე უფლებებზე სანქციების გამოყენების უფლება და შესაბამისად, კომპანიებისაგან სრულყოფილი ინფორმაციის მოთხოვნისა და მონიტორინგის*

*უფლებამოსილება, როგორ აღმოჩნდა რომ ამგვარ მონიტორინგს არ დაექვემდებარა არც ერთი დიდი, ნაციონალური მასშტაბის მაუწყებელი და ადმინისტრაციული სამართალწარმოების დაწყება ხდებოდა მხოლოდ პატარა კომპანიებისა და საკაბელოების წინააღმდეგ.*

*მნიშვნელოვან პირობას კომპანიების სასარგებლოდ ამ თვალსაზრისით ქმნის თავად ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვე-პუნქტის ცვლილებების ისტორიაც.*

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონში 2011 წლის 20 დეკემბერს შევიდა ცვლილება N5546, რომლის თანახმადაც მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ავტორიზებული პირი ვალდებულია:

სრულად და მოთხოვნილ ვადაში მიაწოდოს კომისიას ამ კანონითა და კომისიის ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებით მოთხოვნილი ინფორმაცია თავისი საქმიანობის შესახებ, მათ შორის, .... <u>საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია..."</u>

მანამდე 2005 წლის 28 დეკემბერს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონში შესული ცვლილებების თანახმად (#2564) 43-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

„კომისია <u>აკონტროლებს</u> ავტორიზებულ პირთა მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში განხორციელებულ საქმიანობას, ასევე მათ მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების, ხოლო მაუწყებლობის ტრანზიტის განმახორციელებელ ავტორიზებულ პირთა მიერ – <u>აგრეთვე „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის შესრულებას</u>."

ამდენად აღნიშნული ცვლილებით კომისიის ფუნქციას 2005 წელს დაემატა „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის შესრულებაზე მონიტორინგი.

აღნიშნული უფლებამოსილება კომისიას 2006 წლის 8 დეკემბერს ამავე პუნქტში განხორციელებული ცვლილებებით (#3921) კვლავ ჩამოერთვა და ნორმამ პირვანდელი სახე მიიღო:

„კომისია აკონტროლებს ავტორიზებულ პირთა მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში განხორციელებულ საქმიანობას, ასევე მათ მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულებას.“[6]

შესაბამისად, აღნიშნული ცვლილების განხორციელებიდან 2009 წლის სექტემბრამდე არც ერთი სუბიექტის მიმართ არ განხორციელებულა საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით წარმოების დაწყება და სანქცირება.

უფრო მეტიც, ჩვენთვის ცნობილი გახდა, 2009 წლის 31 მარტს მარეგულირებელი კომისიის მიერ „საქართველოს საკაბელო ტელევიზიების კავშირისათვის“ გაგზავნილი წერილის შესახებ (03/448-09), რომელშიც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია ადასტურებს რომ ის არ ახორციელებს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის შესრულებაზე უშუალო მონიტორინგსა და ზედამხედველობას მაუწყებლობის ტრანზიტის განმახორციელებელ ავტორიზებულ პირთა მიმართ.

2009 წლიდან დღემდე კი, როგორც კომისიის ვებ გვერდზე გამოქვეყნებული გადაწყვეტილებებიდან დგინდება, ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით 70 სანქციაა გამოყენებული.[7]

---

[6] უფრო დეტალური სამართლებრივი მიმოხილვისათვის იხილეთ დანართი # 3
[7] ზუსტი ჩამონათვალი იხილეთ დანართი #2

*სწორედ საავტორო და მომიჯნავე უფლებების დავებში ჩანს ყველაზე უკეთ ის დისკრიმინაციული პოლიტიკა რომელსაც მარეგულირებელი კომისია წლების განმავლობაში ატარებდა და ამით ბაზარზე არათანაბარ პირობებს ქმნიდა, ხელოვნურად აფერხებდა კომპანიების ბუნებრივ განვითარებას და არა კონკურენტულ პირობებს უქმნიდა არა-სასურველ მაუწყებლებს.*

## 4. დისკრიმინაცია და ლობირება

დისკრიმინაციისა და უკანონო ლობირების, მარეგულირებელი კომისიის მხრიდან დარღვევებზე თვალის დახუჭვის, ასევე კონკრეტული კომპანიისათვის უპირატესობის მინიჭების მიზნით განხორციელებული სხვადასხვა უკანონო ქმედებისა და ზეწოლისა და მუქარის ფაქტებზე საუბრის დროს მომჩივნების უმრავლესობა მარეგულირებელი კომისიის ერთ ერთ მთავარ მოტივაციად კომპანია „გლობალ მედია ჯგუფს" (GMG) ასახელებს. შესაბამისად, კომისიის შესწავლის საგანს წარმოადგენდა GMG-ს დაფუძნებისა და კომისიასთან სამართლებრივი ურთიერთიერთობების კვლევა.

შპს „მადი"

2002 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება N162-ით მარეგულირებელმა კომისიამ გასცა სამაუწყებლო ლიცენზია ქ. ოზურგეთის, ქ. ჩოხატაურისა და ქ. ლანჩხუთის ზონაში საკაბელო ტელემაუწყებლობაზე. ლიცენზიის მფლობელი იყო შპს "მადი". 2003 წლის 16 მაისის N206/1 გადაწყვეტილებით საქმიანობის ზონა გაფართოვდა (ქ. ფოთში, ქ. ჩოხატაურში, ქ. ლანჩხუთში და ქ. ქობულეთში). შესაბამისად, განისაზღვრა სამუშაო სიხშირეები (11.5 გგჰც 13.25 გგჰც). კომისიის 2004 წლის 10 სექტემბრის N455/1 გადაწყვეტილებით შპს "მადის" მიენიჭა უფლება საკაბელო სატრანზიტო ტელერადიოსამაუწყებლო ქსელით მომსახურებაზე

(საკაბელო სატრანზიტო ტელემაუწყებლობა) სენაკის რაიონში, სამტრედიის რაიონში, ქ. ბათუმში, ქ. ოზურგეთში წარმოდგენილი ტექნიკური პროექტის შესაბამისად.

შპს "მადის" წინააღმდეგ კომისიაში ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო 2009 წლის 23 დეკემბერს, მისთვის სახდელის დაკისრების მოთხოვნით. მარეგულირებელი კომისია დავობდა, რომ კომპანია მაუწყებლობის სფეროში ულიცენზიოდ და ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზაციის გარეშე საქმიანობდა. მათი არგუმენტაცია ეფუძნებოდა იმ ფაქტს რომ, სიხშირეებით სარგებლობის უფლება შპს "მადის" აღარ გააჩნდა 2004 წლის 14 ივლისიდან. აქვე საგულისხმოა ფაქტია რამოდენიმე გარემოება. 2009 წლის ბოლოს მარეგულირებელ კომისიას გაახსენდა რომ შპს „მადი" 2004 წლის 14 ივლისადან უკანონოდ მაუწყებლობდა, თუმცა იმავდროულად:

1. 2004 წლის 10 სექტემბერს (#455/1) „მადი"-ს მინიჭებული აქვს საკაბელო სატრანზიტო ტელერადიო სამაუწყებლო ქსელით მომსახურების უფლება დამატებით რამდენიმე რაიონზე;
2. 2005 წლის 1 ივლისს (#440/22) კომისიის გადაწყვეტილებით მიღებული აქვს გაფრთხილება საავტორო და მომიჯნავე უფლებების კანონის შესაბამისად;
3. 2005 წლის 23 სექტემბერს კი დაკისრებული აქვს ადმინისტრაციული სახდელი (#619/22);
4. ამასთანავე, შპს „მადი"-სათვის 2003 წელს ლიცენზიის მოქმედების ვადა განისაზღვრა 10 წლით - 2013 წლის 16 მაისამდე.

2010 წლის 12 იანვარს კომისიაში შეწყდა შპს „მადის" წინააღმდეგ დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება (გადაწყვეტილება N 30/18 - 12 იანვარი, 2010), იმ მოტივით რომ კომისიამ დაადგინა ლიცენზიის 10 წლიანი ვადის არსებობის ფაქტი. ვფიქრობთ, ამგვარი ინფორმაციის მოულოდნელად „აღმოჩენა" კომისიის მხრიდან არადამაჯერებლად გამოიყურება. თუმცა, უკვე ერთ თვის შემდეგ, 2010 წლის 26 თებერვალს N103/18 გადაწყვეტილებით შპს „მადი" მაინც დაჯარიმდა 10,000.00

ლარით „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის და მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ლ) ქვეპუნქტების დარღვევის გამო. გადაწყვეტილების შესაბამისად, ჯარიმის თანხა შპს "მადის" ბიუჯეტში უნდა გადაეხადა 30 დღის განმავლობაში. 10 თვის მანძილზე შპს „მადის" ეს თანხა არ გადაუხდია, თუმცა კომისიის მხრიდან, რომელიც ყოველ გადაცილებულ დღეზე სხვა შემთხვევებში კიდევ უფრო მაღალ სანქციებზე იღებდა გადაწყვეტილებებს, არავითარი რეაგირება არ მოჰყლია.

აღნიშნული თანხა 2010 წლის დეკემბერში, ბიუჯეტში გადაიხადა უკვე სხვა კომპანიამ, შპს „გლობალ მედია ჯგუფმა" (GMG) [8], როგორც შპს „მადისთან" დადებული ლიცენზიის გადაპირების შეთანხმების საფასური.

შპს „მადის" დირექტორის და დამფუძნებლის ავთანდილ დევიძის განცხადება

2013 წლის 04 ივლისს საგამოძიებო კომისიას მომართა შპს „მადის"

---

[8] შპს „გლობალ მედია ჯგუფი" საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია 2010 წლის 27 ივლისს, უფლებამოსილი პირი და 100%-იანი წილის მფლობელია - მამუკა გამყრელიძე, (01008004163). 2010 წლის 18 აგვისტოს ამონაწერის მიხედვით კამპანიის 15%-იანი წილი გადაეცა შპს „მედია საკონსულტაციო ჯგუფს" 205284761
2011 წლის 16 აგვისტოს ამონაწერის შესაბამისად კომპანიის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილება მიენიჭა ლევან ყუბანეიშვილს (01024011144);
2011 წლის 29 დეკემბრის მდგომარეობით, მამუკა გამყრელიძის ნაცვლად კომპანიის 85%-იანი წილი გადაეცა, თამარ გამყრელიძეს (01008063791);
2011 წლის ბოლოს შპს „მედია საკონსულტაციო ჯგუფი" (100%-იანი წილის მფლობელი პარტნიორი და დირექტორი - ლევან ყუბანეიშვილი (01024011144) შეერწყა შპს „ვიზარტ სტუდიას" (რეგისტრირებულია 2008 წლის 19 მაისს;
2011 წლის 13 აპრილის მდგომარეობით დირექტორია გურამ ახობაძე (01009003239) ხოლო პარტნიორები არიან (01009010459, ლევან ახობაძე, 20% (01015005547), მიხეილ ბასილაძე, 20% (204882724), შპს "თბს-ტვ", 60 %;
2011 წლის 18 ოქტომბრის მდგომარეობით 100%-ის წილის მფლობელი და დირექტორია ლევან ყუბანეიშვილი;
2013 წლის 17 მაისის მდგომარეობით შპს „თბს-ტვ" -ს 100%-იანი წილის მესაკუთრეა შპს „თიბისი თივი ინთერთეინმენთ ჰოლდინგი", გენერალური დირექტორი - ზაზა შენგელია,(01018000067), პარტნიორები ზაზა შენგელია, 19.13% შპს ქართული ტრადიცია, 38.27%, დავით გერსამია, 8.4% გელა ბუბაშვილი, 4.2%, ფონთპილ ვენჩერზ ლიმითედ, ვირჯინიის კუნძულები (ბრიტ.)
„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად (37-ე მუხლის მე-2 პუნქტის *(22.05.2012 N 6256)* შესაბამისად მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი ან/და ავტორიზებული პირი არ შეიძლება იყოს როგორც ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული იურიდიული პირი, ასევე იურიდიული პირი, რომლის წილს ან აქციებს პირდაპირ ან ირიბად ფლობს ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული პირი.

დირექტორმა ავთანდილ დევიძემ. წარმოდგენილი განცხადების შესაბამისად ტელეკომპანია „მადი“ სამაუწყებლო სფეროში ფუნქციონირებდა 2002 წლიდან. 2005 წლისათვის კომპანიის აბონენტთა რიცხვი 3 500 აღემატებოდა. შპს „მადი“ მომხმარებელს სიგნალს აწვდიდა საკაბელო-სატრანზიტო უსადენო ქსელის მეშვეობით.

განცხადების შესაბამისად, შპს „მადის“ ხელმძღვანელობას რთული ურთიერთობა ჰქონდა გურიის კუდის ხელმძღვანელობასთან, ვინაიდან ეს უკანასკნელი სისტემატურად არ იხდიდა მომსახურების სააბონენტო გადასახადს, რის გამოც უწყდებოდათ მომსახურება.

დევიძის ინფორმაციით, 2009 წელს კომისიიდან მივიდნენ წარმომადგენლები, რომლებმაც აცნობეს, რომ მისი კუთვნილი სიხშირეების ნაწილი ჩამოართვეს და გადასცეს სხვას. კითხვაზე თუ ვისი დავალებით მოხდა ამ გადაწყვეტილების მიღება, უპასუხეს, რომ მარეგულირებელ კომისიაში ამის უფლება მხოლოდ ერთ კაცს ჰქონდა. აღნიშნულის პარალელურად დევიძე დაიბარა გურიის მაშინდელმა გუბერნატორმა ბ-მა რამაზ ნიკოლაიშვილმა და ესაუბრა მის მიერ ოზურგეთში ოპოზიციური ძალების ხელშეწყობის შესახებ. დევიძე აღნიშნავს, რომ ამ გარემოებების გამო გრძნობდა რეალურ საფრთხეს, რომ მოთხოვდნენ ტელევიზიის დათმობას. ბ-ნი დევიძის ინფორმაციით მათი საეთერო ბადის კონტროლს კუდი ახორციელებდა, რომლის ძირითადი მოთხოვნა იყო არავითარ შემთხვევაში არ ჩაერთო სამაუწყებლო ბადეში შპს „სტუდია მაესტროს“ გადაცემები. 2008 წელს ოფისის მიმდებარე ტერიტორიაზე ოპოზიციურმა პარტიებმა მოაწყვეს მიტინგი, მოთხოვნით ქსელში ჩართულიყო ტელეკომპანია „სტუდია მაესტრო“ რის შემდეგაც ეს უკანასკნელი ეთერში გავიდა სატესტო რეჟიმში. დევიძე აღნიშნავს, რომ ამასთან დაკავშირებით პირადად კუდის უფროსი მიუვარდა სახლში და იძულებული გახდა საკუთარი ხელით მოეხსნა აპარატურა.

თუმცა მისი პრობლემები სწორედ ამ პერიოდიდან იღებს სათავეს. 2009 წელს ორგანიზაციაში დაიწყო რევიზია (ფინანსთა სამინისტროს აუდიტის

დეპარტამენტის 31.07.2009 #628 და 4.09.2009 #მ-713 ბრძანებით), რის შედეგადაც 43000 ლარი დანაკლისი აღმოჩნდა. აქედან 26,000 ლარი დაფარულ იქნა, თუმცა ავთანდილ დევიძე 2010 წლის 15 იანვარს დააპატიმრეს.

ბატონი დევიძის მიერ განცხადებაში მითითებულ შემთხვევებს ადასტურებს მარეგულირებელ კომისიაში მიმდინარე პროცესები, როდესაც აბსურდული მოტივით იწყება კომისიის დაჯარიმების პროცედურა. თუმცა ვინაიდან მიუხედავად ამგვარი ღონისძიებისა მისი მხრიდან არ მოხდა კომპანიის დათმობა, კომისიამ პროცედურები შეწყვიტა და ზუსტად 3 დღეში დევიძე დააპატიმრეს.

დევიძე აღნიშნავს, რომ ქუთაისის ციხეში ყოფნის დროს იმერეთ-გურიის კუდის უფროსის მოადგილე სტუმრობდა, რომელმაც აცნობა, რომ საპროცესო შეთანხმების ერთადერთი პირობა ტელევიზიაში მისი წილის დათმობა იყო.

2010 წლის დეკემბერში მისი კუთვნილი კომპანიის სახელით უკვე GMG მოქმედებდა, რაც სხვადასხვა ფაქტობრივი გარემოებებითა და კომისიის მიერ მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებებით დასტურდება.

ბატონი დევიძე აღნიშნავს, თანხმობის განცხადების შემდეგ მოხდა მისი გათავისუფლება, რის შემდეგაც 2010 წლის ბოლოს, მარეგულირებელი კომისიის ერთ-ერთი დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ბ-მა გიორგი რატიშვილმა ის ოზურგეთში შეახვედრა მისთვის უცნობ პირს, ბატონ გამყრელიძეს, რომელსაც რუსთავი 2-ის გადაცემა „ვის უნდა ოცი ათასი"-სიდან იცნობდა და აცნობა რომ შემდგომი პრობლემების თავიდან ასაცილებლად საერთო მაუწყებლობის ლიცენზია უნდა დაეთმო სწორედ აღნიშნული პიროვნებისათვის. შეხვედრიდან მესამე დღეს დევიძე ჩაიყვანეს თბილისში, სადაც გამყრელიძემ შეიყვანა სკეკ-ის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის კახი ყურაშვილის კაბინეტში, აუხსნა რომ დევიძე თანახმა იყო, რის შემდგომაც შევიდნენ, კომისიის თანამშრომელ ქალბატონთან და ხელი მოაწერეს შესაბამის ქაღალდებს. დევიძე აღნიშნავს, რომ 15 წუთში გადააცემინეს ლიცენზია პირისთვის, რომელთანაც რაიმე სახის ნაცნობობაც კი არ აკავშირებდა.

როგორც უკვე აღინიშნა, ბატონი დევიძის მონათხრობი ფაქტობრივად და კალენდარულად დასტურდება მრავალი სხვადასხვა მტკიცებულებით და ეჭვს არ იწვევს მისი იძულება, მათ შორის საპატიმრო ღონისძიების გამოყენებით ლიცენზიის დათმობაზე.

თავად, GMG-სთან დაკავშირებით კი აღსანიშნავია, რომ:

1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიაში ერთობლივი განცხადების წარდგენა (№03.12.2010 N6/4049-10), წერილის განხილვა და რეზოლუციის დადება, დღის წესრიგში ასახვა, გადაპირების შეთანხმება და კომისიის გადაწყვეტილების გამოტანა მოხდა ერთ დღეს, 3 დეკემბერს. გადაპირებულია კომისიის 2010 წლის 3 დეკემბრის N556/23 გადაწყვეტილების შესაბამისად, შპს „მადისგან" (ყოფილი 1411 ლიცენზია, მოდიფიცირებული B109), რაც საჭიროებს ლიცენზიის დათმობის საკითხის დამატებით შესწავლას.
2. გაურკვეველი მიზეზით არ მოხდა ჯარიმის 10 თვიანი გადაუხდელობის გამო, რეაგირება კომისიის და ფინანსთა სამინისტროს მხრიდან, რადგან 2010 წლის 26 თებერვლის N103/18 გადაწყვეტილებით შპს „მადი" დაჯარიმდა 10,000.00 ლარით „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის და მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ლ) ქვეპუნქტების დარღვევის გამო. ჯარიმა შპს "მადის" ბიუჯეტში უნდა გადაეხადა 30 დღის განმავლობაში. აღნიშნული თანხა ბიუჯეტში გადაიხადა GMG-მ 2010 წლის დეკემბერში ლიცენზიის გადაპირების შეთანხმების საფასურად.
3. აქვე თქვენი ყურადღება უნდა შევაჩეროთ არც თუ უმნიშვნელო ფაქტზე. როგორც ზემოთ მითითებულ ცნობებიდან ირკვევა კომპანია GMG-ში ბიზნეს ინტერესები სხვადასხვა დროს, ან ერთდროულად ჰქონდათ ბატონ ზაზა შენგელიას და ლევან ყუბანეიშვილს, ეს უკანასკნელი დღესაც კომპანიის ხელმძღვანელია. საჯარო რეესტრიდან მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, ბატონები ყუბანეიშვილი და ზაზა შენგელია კომპანია „საგამომცემლო სახლი +"-

**ში მარეგულირებელი კომისიის მაშინდელი თავმჯდომარის ბატონი ირაკლი ჩიქოვანის ბიზნეს პარტნიორები არიან, რაც თავისთავად ვფიქრობთ ბევრ კთხვაზე სცემს პასუხს, ინტერესთა კონფლიქტის, საკუთარი ბიზნეს პარტნიორების ხელოვნურად მომგებიან პირობებში ჩაყენების, ბაზრის მონოპოლიზებაში დახმარებისა და სხვა თვალსაზრისით. „საგამომცემლო სახლი +“ – ირაკლი ჩიქოვანი - 62.5%; ლევან ყუნბანეიშვილი - 12,5%; ზაზა შენგელია - 12,5%; გიორგი კალანდაძე - 12,5%** [9]

კომისია კვლავაც მუშაობს შპს „მადის“ გარშემო შექმნილ პრობლემებზე, ახდენს უამრავი დეტალისა და მოძიებული ინფორმაციის ანალიზს. დარწმუნებული ვართ რომ აღნიშნული გარიგება ძალადობით და კანონის მოთხოვნათა უგულვებელყოფით მოხდა და შესაბამისად რეკომენდაციას ვუწევთ საქართველოს სამართლადამცავ ორგანოებს მოხდეს აღნიშნული ფაქტის გამოძიება და კანონით გათვალისწინებული ზომების გატარება სამართლიანობის აღდგენის მიზნით.

კომისიის საქმიანობის პერიოდში კომისიის თავმჯდომარეს საჩივარში მითითებული დეტალების დაზუსტების მიზნით ჰქონდა პირველადი გასაუბრება საჩივრის ავტორთან და იგი მზად არის კომისიას მისცეს ჩვენება საჯარო, ღია სხდომაზე.

## 5. დავა პორტაბელობაზე

**„ახალი ქსელები“ და „ახტელი“**

კიდევ ერთ საკითხი, რომელზეც საქართველოს პარლამენტში საგამოძიებო კომისიას კომპანიებმა მომართეს შეეხება პორტაბელობას.

---

[9] იხილეთ საჯარო რეესტრის ამონაწერი: https://enreg.reestri.gov.ge/main.php?state=search_by_name&value=%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9A%E1%83%9D+%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%98

კომპანიებმა „ახალი ქსელები" და „ახტელი" 2012 წლის 26 დეკემბერს საჩივრით მიმართეს საქართველოს მთავარ პროკურორს ბ-ნ არჩილ კბილაშვილს, სკეკ-ის ხელმძღვანელი პირების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე (სსკ-ის 332-ე მუხლი).

განცხადებაში აღწერილია, რომ მარეგულირებელი კომისიის 2010 წლის 3 სექტემბრის #412/10 გადაწყვეტილებით სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ცენტრალური ბაზის ადმინისტრატორის შესარჩევ კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდა „მედიაპრო ჯორჯია". **შპს „მედიაპრო ჯორჯიას" მიერ ავტორიზებული პირებისაგან 1 წლის მანძილზე მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა დაახლოებით 7,000,000 ლარი. შპს "მედიაპრო ჯორჯიას" ზღვრული მომსახურების ტარიფია 0.38 ევროცენტი, ავტორიზებული პირის მფლობელობაში არსებული ყველა სააბონენტო ნომერზე, რაც მოიცავს როგორც პორტირებულ, ისე არაპორტირებულ და უფრო მეტიც, დაუტვირთავ სააბონენტო ნომრებს.**

შპს „ახალი ქსელებისა" და შპს „ახტელის" განცხადებით ცენტრალური ბაზის ადმინისტრატორი ფაქტობრივად საქმიანობს ხელოვნურად დადგენილი სატარიფო სქემით, რომელსაც არაფერი საერთო არ აქვს მარეგულირებელი კომისიის მიერ დაკისრებული მომსახურების გაწევის ხარჯებთან. აღნიშნულ საკითხზე კომისიაში შემოსულია ასევე მაგთის საჩივარიც.

**შპს „მაგთიკომი"**

პორტაბელობის სისტემის დანერგვისა და მომსახურების განხორციელების პროცესში დარღვევებზე და ბიზნესიდან უკანონოდ თანხების ამოღებაზე საუბრობს კომპანია „მაგთიკომიც".

კერძოდ, 2013 წლის 2 ივლისის საჩივარში, მაგთიკომი მიუთითებს, რომ „ტექნიკურად პორტირების ცენტრალური ბაზის ადმინისტრირება არ წარმოადგენს რაიმე განსაკუთრებულად რთულ პროგრამულ უზრუნველყოფას და არ საჭიროებს დიდი თანხების ინვესტირებას. სწორედ ამიტომ ყოველგვარ საფუძველს

მოკლებულია საფასურის ოდენობა, რომელსაც შპს „მედიაპრო ჯორჯიას" უხდიან ავტორიზებული პირები". კომპანიას მიაჩნია, რომ პორტაბელურობის მომსახურების საფასური უნდა იყოს ხარჯებზე ორიენტირებული, და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება წარმოადგენდეს დაუსაბუთებელ ხარკს ბიზნესისათვის.

საჩივრებში ასევე საუბარია კონკურსის პირობების დარღვევასა და მონაწილე მომსახურების გამწევი კომპანიების არა-თანაბარ გარემოში ჩაყენებაზე. სამწუხაროდ, მარეგულირებელმა კომისიამ დაუსაბუთებლად დიდი დრო მოანდომა ჩვენთვის გამოთხოვილი მასალის მოწოდებას, რის გამოც მისი ასახვა ვერ მოხერხდა აღნიშნულ დასკვნაში. თუმცა პორტაბელობის განხორციელების პროცესთან დაკავშირებით წარმოდგენილი საჩივრების საფუძველზე მითითებული დარღვევების მოკვლევა კომისიის მიერ სხდომაზე დასახელდა ერთერთ მთავარ პრიორიტეტად და შესაბასად საბოლოო დასკვნაში დეტალურ ინფორმაციას მოგაწვდით აღნიშნული ფაქტების თაობაზე.

პრობლემის მასშტაბის საჩვენებლად მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვანთ.

ტენდერში მონაწილე კომპანიებს ბუნებრივია მომსახურების განსხვავებული პირობები ქონდათ შეთავაზებული კომისიისათვის. თუმცა მთავარი სხვაობა ალბათ მაინც ის იყო, თუ რას გვთავაზობდნენ კომპანიები საფასურის გადახდის პირობად.

დღევანდელი მდგომარეობით სტატისტიკა არის შემდეგი.

გამარჯვებული კომპანიის პაკეტი ყველა სააბონენტო ნომერზე (მიუხედავად პორტირებულის რაოდენობისა) აწესებს გადასახადს. მარეგულირებელი კომისიის ინფორმაციით დღეისათვის გაცემული რესურსი დაახლოებით 6,7 მილიონ სააბონენტო ნომერს შეადგენს. შესაბამისად, როგორც ითქვა კომპანიების მიერ გადახდილმა საფასურმა უკვე 7 მილიონი ლარი შეადგინა.

თუკი შევადარებთ მეორე სისტემას, როდესაც გადასახადი რეალურად პორტირებულ ნომრებს ეხება მხოლოდ, დღევანდელ ვითარებაში დრამატულად

განსხვავებული მდგომარეობა გვექნებოდა. კერძოდ, 2011 წლის თებერვლიდან 2012 წლის დეკემბრის ბოლომდე საქართველოში სულ 121,800 სააბონენტო ნომერია პორტირებული. რაც დადგენილი საფასურის პირობებში ბიზნესისათვის მხოლო 130 ათასი ლარის გადასახადს მოგვცემდა.

თუკი დავუბრუნდებით ტენდერში მონაწილე ერთ-ერთი კომპანიის მიერ შემოთავაზებულ პირობას, რომელიც წლის ფიქსირებული გადასახადის პრინციპს ითვალისწინებდა და არ იყო დამოკიდებული აბონენტების რაოდენობაზე, რეალურად განხორციელებული პორტირებული აბონენტების რაოდენობის გათვალისწინებით ბიზნესს მხოლოდ 660 ათასი ევროს, ანუ დაახლოებით 1,8 მილიონი ლარის გადახდა მოუწევდათ.

შესაბამისად, პირველ რიგში ტენდერში გადაწყვეტილების მიღების დროს და შემდეგ სატარიფო პოლიტიკის პირობებში ვფიქრობთ სხვაობა იმდენად თვალშისაცემია რომ ტენდერების შედეგები სერიოზულ შესწავლას და მოკვლევას იმსახურებს, რასაც კომისია ახალი მანდატის პირობებში განახორციელებს.

დაახლოებით ანალოგიური პრობლემებია **მარეგულირებელ კომისიაში ინტერნეტის ხარისხის გაზომვის შესახებ** გამოცხადებული ტენდერისა და გამარჯვებული კომპანიის შემთხვევაშიც. თუმცა კომისია საკითხის შესწავლის ფაზაშია და შესაბამის ანგარიშს საბოლოო დასკვნაში შემოგთავაზებთ.

## 6. სამაუწყებლო პრიორიტეტების დადგენა

კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც საგამოძიებო კომისიამ მისი კვლევის მიმდინარეობის პროცესში გაამახვილა ყურადღება სამაუწყებლო პრიორიტეტების დადგენის თვალსაზრისით კომისიის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება იყო.

მარეგულირებელმა კომისიამ, 2008 წლის 22 მაისის #279/22 გადაწყვეტილებით - „ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტების დასადგენად გასატარებელ ღონისძიებათა და რიგ განცხადებებზე ადმინისტრაციული წარმოების

შეჩერების თაობაზე" - კომისიის აპარატის მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტს დაავალა საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ჩატარების ორგანიზება, აგრეთვე ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტების დამტკიცების თაობაზე კომისიის გადაწყვეტილების პროექტის მომზადება და დასამტკიცებლად წარმოდგენა. ამავე გადაწყვეტილებით კომისიამ გადაწყვიტა შეჩერებულიყო ადმინისტრაციული წარმოება შპს "იგრიკას", შპს "სარკე კონსალტინგის", შპს „საქართველოს უნივერსიტეტის", შპს "სტუდია მაესტროს", შპს "ტელერადიო კომპანია თრიალეთის", შპს "ტელერადიო კომპანია ევრიკას", შპს "სამაუწყებლო კომპანია ჰერეთის" და სსიპ "სრულიად საქართველოს საპატრიარქოს" განცხადებათა თაობაზე. აღნიშნულ ტელეკომპანიებს განაცხადი ჰქონდათ შეტანილი სამაუწყებლო ლიცენზიათა გაცემასა და მოდიფიცირებაზე.

გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ „ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტებში ცვლილებების შეტანა "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოადგენს მოქმედ ლიცენზიებში ცვლილება-დამატებების შეტანის საფუძველსაც. **გამომდინარე იქიდან, რომ კომისიაში შემოსულია განცხადებები (კერძოდ შპს "სტუდია მაესტროს" 2008 წლის 8 აპრილის განცხადება) ლიცენზიის სახეობის მოდიფიცირების მოთხოვნით, რაც თავის მხრივ ეფუძნება კომისიისათვის უცნობ გამოკვლევებს, კომისიას მიაჩნია, რომ ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტების დადგენა უკვე გაცემულ სამაუწყებლო ლიცენზიათა სახეობის შეცვლისა და ამ მიზნით ლიცენზიის სახეობის მოდიფიცირების საკითხების საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისად დარეგულირებასაც შეუწყობს ხელს."**

საგამოძიებო კომისიის დაინტერესება აღნიშნული საკითხით გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მარეგულირებელი კომისიის მიერ 2008 წელს განცხადებული პრიორიტეტების კვლევის სისრულეში მოყვანას 3 წელზე მეტი დრო დაჭირდა, რამაც ბუნებრივად გააჩინა ეჭვი პროცესის ხელოვნურად გაჭიანურების შესახებ. ხოლო ამგვარი გაჭიანურების მიზეზი, როგორც თავად მარეგულირებელი კომისიის აქტშიც არის მითითებული ტელეკომპანია „სტუდია მაესტროს" მიმართვა გახდა.

ყველას კარგად გვახსოვს 2008 წელს „სტუდია მაესტროს" ლიცენზიის მოდიფიკაციის ირგვლივ განვითარებული მოვლენები, როდესაც საპარლამენტო არჩევნების წინ, აღნიშნული საკითხი განსაკუთრებული სიმძაფრით დადგა დღის წესრიგში. შესაბამისად, 2011 წლამდე  შეჩერდა არა მარტო მაუწყებლობის ლიცენზიების გაცემა, არამედ მათი მოდიფიცირებაც თუ ეს ეხება ლიცენზიათა სახეობის შეცვლას.

ვინაიდან პრიორიტეტების დადგენას, 2008-2011 წლები დაჭირდა, საგამოძიებო კომისიის ყურადღება მიიპყრო მარეგულირებელი კომისიის მხრიდან მისი ვალდებულებების ჯეროვანმა შესრულებამ და საქმიანობის ეფექტურობამ. კომისია მიიჩნევს, რომ მარეგულირებელი კომისიის მხრიდან სხვა კონკრეტული, მისი საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევის გარდა დაირღვა საქართველოს მოქალაქეების კონსტიტუციით გარანტირებული უფლება „მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვა საშუალებებით." ამასთანავე, „სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალე ბათა მონოპოლიზაციის უფლება."[10]

კონსტიტუციით აღიარებული უფლება გულისხმობს ნებისმიერი დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ლიცენზიის მიღებისა და მაუწყებლობის დაუბრკოლებლად განხორციელების უფლებას. განსახილველ შემთხვევაში, ლიცენზიის გაცემის შეჩერების საფუძველი იყო მარეგულირებელი კომისიის მიერ მისთვის კანონით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა და ამ მოტივით ლიცენზიების გაცემის პროცესის შეჩერება 3 წლით. რაც ცალსახად წარმოადგენს ლიცენზიის მაძიებლების კონსტიტუციით დაცული უფლების დარღვევა, ამასთანავე ხელი შეეშალა ქვეყანაში ახალი სამაუწყებლო კომპანიების შექმნასა და განვითარებას, და შესაბამისად მოქალაქეთა მიერ ინფორმაციის თავისუფლად

[10] საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი

მიღებისა და გავრცელების ფუნდამენტური უფლების რეალიზაციას.

**კომისიის განმარტებით, მაუწყებლობის ლიცენზიების გაცემის შეჩერების საფუძველს ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტების ვადის გასვლა წარმოადგენდა. ნიშანდობლივია, რომ გარდ იმისა, რომ კომისიამ საკუთარი უმოქმედობით შექმნა პრობლემა, დამატებით ასევე დაარღვია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები, ვინაიდან, ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტებს არანაირი კავშირი არა აქვს მაგალითად საკაბელო მაუწყებლობის ლიცენზიებთან.** ხსენებული პრიორიტეტები მხოლოდ საეთერო (სიხშირით) მაუწყებლობის ლიცენზიის გაცემისათვის გამოიყენება. კერძოდ, "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, საეთერო მაუწყებლობის ლიცენზიის მაძიებელი კომისიას წარუდგენს "სამაუწყებლო კონცეფციას, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტებსა და ამ კანონით განსაზღვრულ პროგრამულ მოთხოვნებს". აღნიშნულის მიუხედავად, კომისიამ სრულად შეაჩერა ლიცენზიების გაცემა, როგორც საეთერო, ისე საკაბელო მაუწყებლობაზე.

2008 წლის 22 მაისის N279/22 გადაწყვეტილებით, სკეკ-მა აღნიშნა, რომ ლიცენზიების გაცემის შეჩერება ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტების 2 წლიანი მოქმედების ვადის გასვლამ განაპირობა. ამავე გადაწყვეტილებაში, ასევე მიუთითა, რომ "უკანასკნელი საზოგადოებრივი კვლევა და ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტების დამტკიცება კომისიის 2004 წლის 28 სექტემბერს N506/22 გადაწყვეტილებით განხორციელდა". ნიშანდობლივია, რომ "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, 2 წელიწადში ერთხელ ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტების განსაზღვრა თავად კომისიის ვალდებულებას წარმოადგენს, რაც როგორც ჩანს, კომისიის მხრიდან არ შესრულებულა. ამასთან, ნიშანდობლივია, რომ გადაწყვეტილებით, რომლითაც კომისიის შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს (მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტი) 2008 წლის 22 მაისს, ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტების განსაზღვრის ორგანიზება დაევალა, ხსენებული სამუშაოების ჩატარების ვადა არ

დაფიქსირებულა.

საზოგადოებრივი აზრის შესწავლის მიზნით, კომისიამ ხელშეკრულება სოციოლოგიორ კვლევის ცენტრ "ბი-სი-ჯი კვლევა"-სთან 2008 წლის 23 ოქტომბერს გააფორმა. აღნიშნული შეთანხმებით, შემსრულებელს ("ბი-სი-ჯი კვლევა") კვლევის შედეგების კომისიისათვის 3 თვეში წარდგენის ვალდებულება დაეკისრა. ხელშეკრულება აგრეთვე, ითვალისწინებდა მოქმედების ვადის გაგრძელების შესაძლებლობას, თუმცა არაუმეტეს სამი თვისა (2009 წლის 23 აპრილამდე). მიუხედავად ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა, კომისიამ შესაბამისი კვლევის შედეგები 2010 წლის 15 სექტემბერს (17 თვის დაგვიანებით) ჩაიბარა, ხოლო ტელერადიო მაუწყებლობის პრიორიტეტები 2011 წლის 18 აპრილს დაამტკიცა. კომისიასა და "ბი_სი_ჯი კვლევა"_ს შორის არსებული მიმოწერის შესწავლით დასტურდება, რომ კვლევის შედეგების კომისიაში წარდგენის გაჭიანურების ერთ-ერთი მიზეზი თავად კომისიის ქმედებებიცაა. მაგალითად, 2009 წლის 25 მაისს „ბი-სი-ჯი კვლევის" სახელზე გაგზავნილი წერილით კომისიამ არასრულყოფილად მიიჩნია მათთვის წარდგენილი კვლევის შედეგები და მას ხარვეზის გამოსწორება მოსთხოვა. „ბი-სი-ჯი კვლევამ" საპასუხო წერილი კომისიამ 2009 წლის 08 ივნისს გადაუგზავნა (წერილი კომისიაში 2009 წლის 9 ივნისს დარეგისტრირდა), რომლითაც სთხოვა კვლევის სრულყოფილად მიჩნევა ან ხელშეკრულებასთან შეუსაბამობის კონკრეტული მიზეზების ახსნა. აღნიშნულთან დაკავშირებით, კომისიამ „ბი-სი-ჯი კვლევას" მხოლოდ 2009 წლის 16 სექტემბერს - 3 თვისა და 7 დღის შემდეგ უპასუხა. აღნიშნული წერილით კომისიამ მოძველებულად მიიჩნია კვლევა და მოითხოვა მისი იმგვარად განახლება, რომ საზოგადოებრივი კვლევის შედეგებში ასახული ყოფილიყო მონაცემები 2009 წლის მდგომარეობით.

2011 წლის 18 აპრილს, ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტების დამტკიცების შემდეგ, კომისიამ დაიწყო სატელევიზიო მაუწყებლობის ლიცენზიების გაცემა.

აღნიშნული შემთხვევა, ერთ ერთი საუკეთო დასტურია, კომისიის მხრიდან

მასზე დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის და შესაბამისად, დაინტერესებული კომპანიებისათვის ხელოვნური ბარიერების შექმნის საქმეში. წლების განმავლობაში სრულიად კურიოზული ვითარება იყო შექმნილი მედია ბაზარზე, ვინაიდან მარეგულირებელი კომისია ლიცენზიის გაცემაზე ან მოდიფიკაციაზე უარს ისე მყარად ასაბუთებდა პრიორიტეტების არარსებობით, თითქოს ეს უკანასკნელი ვინმეს სხვისი განსახორციელებელი ღონისძიება იყო, და კომისია მომლოდინე რეჟიმში იმყოფებოდა.

## 7. დაკონსერვებული სიხშირეები

საგამოძიებო კომისიის შესწავლის საგანს წარმოადგენს ე.წ. „დაკონსერვებული სიხშირეები", ამ კატეგორიას მიეკუთვნება **№B68** ლიცენზია, რომელსაც შპს ტელე-რადიო კომპანია „თვალი" ფლობს, 2006 წლის 3 თებერვლის #43/2 გადაწყვეტილებით[11].

2011 წლის 30 დეკემბერის #829/6 გადაწყვეტილებით მარეგულირებელმა კომისიამ მოახდინა შპს ტელე-რადიო კომპანია „თვალის" ლიცენზიის მოდიფიცირება და ვადის გაგრძელება. კერძოდ, შეიცვალა ლიცენზიის სახე - საეთერო შეიცვალა კერძოთი. ლიცენზიის მოქმედების ვადა გაგრძელდა 2021 წლის 31 დეკემბრამდე.[12] მარეგულირებელი კომისიის მხრიდან 2011 წლის დეკემბერში ლიცენზიის საკითხზე მსჯელობის დროს, არავითარი სხვა საკითხები დღის წესრიგში არ დამდგარა და კომისიას კომპანიისათვის რაიმე დოკუმენტაციის წარდგენა, რომელიც დაადასტურებდა მისი მხრიდან კანონით დაკისრებული

[11] ლიცენზიის სახე - საეთერო ტელემაუწყებლობა; ლიცენზიის სახეობა - საერთო ტელემაუწყებლობა; ლიცენზიის მოქმედების ვადა : 2011 წლის 31 დეკემბრამდე; ტელემაუწყებლობა 34-ე სატელევიზიო არხზე 100 ვატი სიმძლავრის გადამცემის გამოყენებით, ქ.საგარეჯოში; http://gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=7070&info_id=3859

[12] „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლის თანახმად, ლიცენზიის სახე შეიძლება იყოს კერძო და სათემო. თუმცა სკეკ-ის გადაწყვეტილებაში ლიცენზიის სახედ მითითებულია საეთერო. სალიცენზიო გადასახდელი - 19,254.38 (ცხრამეტი ათას ორას ორმოცდათოთხმეტი ლარი და 38 თეთრი). გადახდის გრაფიკი : 2012 წლის 30 მარტამდე - 4,813.61 ლ. 2012 წლის 30 აპრილიდან ყოველი თვის 30 რიცხვში დეკემბრის ჩათვლით გადაიხადოს - 1,604.53 ლარი. გადახდილი აქვს სალიცენზიო მოსაკრებელი - 2000 ლ. http://gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=7070&info_id=112200

მაუწყებლობის განხორციელების ვალდებულების შესრულებას არ მომხდარა.

მიუხედავად ამისა, უკვე 2013 წლის 12 მარტის #157/18 გადაწყვეტილებით გაფრთხილება მიეცა შპს ტელე-რადიო კომპანია „თვალს". გაფრთხილების მიზეზი ფორმალური იყო, ვინაიდან კომპანიამ სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში ისე განახორციელა ცვლილება, კომპანიის 100% წილის მფლობელი გახდა დავით ნაცვლიშვილი, ხოლო დირექტორი გია ნაცვლიშვილი, რომ აღნიშნულის თაობაზე მარეგულირებელ კომისიას არ წარუდგინა შესაბამისი ცვლილების დეკლარაცია.

2013 წლის მაისის თვეში შეიქმნა საპარლამენტო საგამოძიებო კომისია, რომელმაც წერილობით მიმართა მარეგულირებელ კომისიას ტელეკომპანია „თვალი"-ს მიერ მაუწყებლობის განხორციელების თაობაზე, რის შემდეგაც უტყუარად დადასტურდა, რომ კომპანიას კომისიაში არ წარუდგენია **2010 – 2011** წლების წლიური ანგარიშები, ყოველკვირეულად არ გამოუქვეყნებია და კომისიისთვის არ წარუდგენია მომდევნო კვირის პროგრამების განრიგი, პროგრამის დასახელება მოკლე ანოტაციის მითითებით, წლების განმავლობაში კომპანიას საერთოდ არ გააჩნდა ვებგვერდი რაც თავისთავად დარღვევაა (აღნიშნული კი დასტურდება მარეგულირებელი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტიებით), და შესაბამისად ვერავითარი დოკუმენტაციის იქ განთავსებას საჯაროდ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით ვერ მოახდენდა ტელეკომპანია, არ მომხდარა კომპანიის საფინანსო დოკუმენტაციის წარდგენა. მაგალითად ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე 2010-2012 წლების აუდიტორული შემოწმება კომპანიას 2013 წლის 23 მარტიდან-4 აპრილის პერიოდში ჩაუტარდა, რაც თავისთავად ცხადია გამორიცხავს 2010-2011 წლებში ამგვარი დასკვნების კომისიაში წარდგენის შესამლებლობას. ამასთანავე, ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტაციის შესაბამისად 2010 წლის მარტის თვიდან 2013 წლის აპრილამდე თვის განმავლობაში კომპანიის მიერ მიღებული შემოსავლები არ აღემატება 25-75 ლარს, და რიგ თვეებში ნულოვანია, შესაბამისად ძირითადად ნულოვანია მის მიერ კომისიაში გადახდილი რეგულირების საფასური. ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს ის გარემოება, რომ კომპანიას გადასახდელი რეგულირების საფასური

კომუნიკაციების კომისიაში 13.37 ლარს შეადგენდა და მისი გადახდაც კი არ განხორციელებული კომპანიის ხელმძღვანელობის მხრიდან, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ტელევიზიის არსებობის შესახებ თავად მის მესვეურებსაც კი აღარ ახსოვდათ.[13] 2013 წლის 4 ივნისის #364/18 გადაწყვეტილებით მარეგულირებელმა კომისიამ შპს ტელე-რადიო კომპანია"თვალს" დააკისრა ჯარიმა 2500(ორიათას ხუთასი)ლარის ოდენობით რეგულირების საფასურის დავალიანების გამო. კომპანიის დავალიანება შეადგენდა 13.37 ლარს. [14]

მიუხედავად აღნიშნული დარღვევებისა, 2013 წლის 17 აპრილის #262/23 გადაწყვეტილებით კომისიამ დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება შპს ტელე-რადიო „თვალის" კერძო მაუწყებლობის მოდიფიცირებასთან დაკავშირებით. 2013 წლის 2 მაისის #346/2 გადაწყვეტილებით შპს ტელე-რადიო კომპანია „თვალის" კერძო მაუწყებლობის №B68 ლიცენზიის მოდიფიცირება განხორციელდა. შესაბამისად, შეეცვალა ლიცენზიის სახეობა და ნაცვლად კერძო საერთო მაუწყებლობისა, განესაზღვრა კერძო სპეციალიზებული (გასართობი) ტელემაუწყებლობა.[15]

როგორც უკვე აღინიშნა 2013 წლის მარტი-აპრილის თვეებში ტელე-რადიო კომპანია „თვალს" ჩაუტარდა აუდიტორული შემოწმება 2010, 2011 და 2012 წლების საანგარიშო პერიოდებისათვის.

2010 წლის დასკვნაში ვკითხულობთ, რომ შპს „თვალი" ახორციელებდა შპს „სამაუწყებლოკომპანია რუსთავი 2" ისა და „ახალი არხის" ტრანზიტს. შესაბამისად, დასტურდება კიდევ ერთ მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც კომპანიის მხრიდან კანონის დარღვევას ადასტურებს. შპს „თვალი" 2011 წლის 30 დეკემბრამდე #43/2 გადაწყვეტილებით ფლობდა საერთო ტელემაუწყებლობას და ახალი ამბების მომზადების ვალდებულება კანონით და სალიცენზიო პირობებით ჰქონდა

---

[13] http://gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=7070&info_id=113810
[14] http://gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=7070&info_id=114174
[15] http://gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=7070&info_id=114158

დაკისრებული[16]. რომელიმე კომპანიის მაუწყებლობის ტრანზიტი კი კანონის მოთხოვნების შესრულებად ვერ ჩაითვლება.

შპს „თვალის" მიერ მაუწყებლობის შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია მედიაში არაერთხელ გავრცელდა. ამის შესახებ ერთ-ერთი განცხადება „რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციამაც" (GARB) გაავრცელა. მათ მიერ 2010 წლის ნოემბერში ჩატარებული კვლევის თანახმად, ტელეკომპანიის მაუწყებლობა მეპატრონის სურვილით შეწყდა. GARB -ის აღმასრულებელი დირექტორის ნათია კუპრაშვილი ადასტურებს, რომ შპს „თვალი" უკვე 7 წელია აღარ მაუწყებლობს, რის გამოც მას ასოციაციის წევრის სტატუსი შეუწყვიტეს. „რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციამ" შპს „თვალის" შესახებ ვიდეომასალა მოამზადა სახელწოდებით „ფართოდ დახუჭული თვალი" რომელიც 8 ივლისს გამოქვეყნდა.[17] საგამოძიებო ფილმში საგარეჯოს ადგილობრივი მაცხოვრებლები ცალსახად მიუთითებენ, რომ მსგავსი ტელევიზია წლების განმავლობაში აღარ უნახავთ, ტექნიკური პრობლემების თაობაზე საუბრობს თავად შპს „თვალის"მეპატრონეც.

ის რომ ტელეკომპანია რამდენიმე წელია აღარ მაუწყებობს როგორც უკვე აღინიშნა უტყუარი მტკიცებულებებით დასტურდება, მათ შორის სწორედ იმ აუდიტორული დასკვნებითაც რომელიც კომისიაში მიმდინარე წლის აპრილის თვეში იყო წარდგენილი. ვინაიდან შეუძლებელია ფუნქციონალურ ტელევიზიას ნულოვანი ბრუნვა ქონდეს და წლების განმავლობაში არავითარ შემოსავალს ან გასავალს არ აჩვენებდეს. სულ მინიმუმ რამდენიმე თანამშრომლის საშემოსავლო გადასახადის გადახდა მაინც უნდა ხორციელდებოდეს კომპანიის მხრიდან.

ამასთანავე, როგორც ზემოთ უკვე მიუთითებდით, კომპანიას მარეგულირებელ კომისიაში წლების მანძილზე არ წარუდგენია კანონით გათვალისწინებული არც ერთი დოკუმენტი, რომელიც ქაღალდზე მაინც დაადასტურებდა მის არსებობს. საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე, როგორც

[16] საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ მე-2 მუხლი χ -ქვეპუნქტი საერთო მაუწყებლობა არანაკლებ 2 თემატიკის, მათ შორის, ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის, პროგრამებით მაუწყებლობა.

[17] http://garbonline.tv/news/pharthod-dakhutchuli-thvali-video/

საგარეჯოს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი აგრეთვე ადასტურებს ტელეკომპანიის არ არსებობის ფაქტს.

„მაუწყებლობის შესახებ" კანონის 74-ე მუხლის თანახმად, ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის შეწყვეტა წელიწადში ზედიზედ 3 თვეზე მეტი ვადით ლიცენზიის გაუქმების საფუძველია.[18] კანონი ცალსახა და იმპერატიულ წესებს ადგენს. თუმცა წლების მანძილზე მარეულირებელი კომისიის მხრიდან ამ ფაქტების იგნორირება ხდებოდა და არავითარი მონიტორინგი არ განხორციელებულია. კომისიას „თვალის" მიმართ, 2013 წლის მარტამდე არცერთი სანქცია არ გამოუყენებია, მაშინ როდესაც მთელი რიგი კომპანიებისათვის დამფუძნებლის ცვლილებების დოკუმენტის წარუდგენლობა ხდებოდა მრავალ ათასიანი სანქციების მიზეზი, რომ არაფერი ვთქვათ შპს „მადის" წინააღმდეგ განხორციელებული ოპერაციების კასკადზე.

ასევე საინტერესოა, ტელეკომპანია „თვალის" მიმართ გამოყენებული მიდგომის შედარება შპს „ევროპას"-თან. აღნიშნულ ტელეკომპანიას, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე გაუუქმეს მაუწყებლობის ლიცენზია, მხოლოდ იმიტომ, რომ ერთი დღით შეწყვიტა მაუწყებლობა.[19] უფრო მეტიც, სასამართლოს საკასაციო ინსტანციამ ტელეკომპანიის წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებები გააუქმა, რაც ტელეკომპანიამ ოფიციალურად შეატყობინა მარეგულირებელს, რათა განეახლებინა ტრანსლაცია და შეემოწმებინა სიგნალი, კომისიამ არ დართო მაუწყებლობის ნებართვა და სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და ზიანის ანაზღაურება მოითხოვა.

ინფორმაციისათვის კომპანია „თვალის" დამფუძნებელი წლების მანძილზე მმართველი გუნდის წევრი, პარლამენტის წევრი ბატონი გია ნაცვლიშვილი იყო რაც შესაძლებელია თავის მხრივ საკმარისი საფუძველს ქმნიდა

[18] http://www.media.ge/ge/portal/news/300816/

[19] აღსანიშნავია, რომ „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 71-ე მუხლი ადგენს სანქცირების წესებს, რომელთა თანხამად დადგენილია, რომ ლიცენზიის მფლობელი ჯერ უნდა გაფრთხილდეს, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება გამოიყენებულ იქნას ჯარიმა, შემდეგ ლიცენზიის შეჩერება და გაუქმება.

ხელშეუხებლობისათვის.

## 8. ტელეკომპანია „ალანია“

საგამოძიებო კომისიის განსაკუთრებული კვლევის საგანია ტელეკომპანია „ალანია“, როგორც საუკეთესო ნიმუში, მაუწყებლობის სფეროში რეგულირების პრაქტიკულად ყველა კანონისა და დებულების, ასევე მარეგულირებელი კომისიის გადაწყვეტილებების უგულვებელყოფის ნიმუში.

ტელეკომპანია „ალანიას“ შემთხვევაში თავმოყრილია ყველა ის კანონდარღვევა, მარეგულირებელი კომისიის, როგორც ერთიანი კოლეგიური ორგანოს მხრიდან მასზე დაკისრებული ფუნქციების უგულვებელყოფა, როგორც ოფიციალური კომუნიკაციიდან დასტურდება ჯერ მისი მაშინდელი თავმჯდომარის დიმიტრი ქიტოშვილის უკანონო ბრძანება, ხოლო შემდეგ უკვე გიორგი არველაძისა და ირაკლი ჩიქოვანის მხრიდან ერთი წლის მანძილზე სწორედ იმ პირველადი ბრძანების მდუმარე მორჩილება.

„ალანიას“ შემთხვევაში კიდევ უფრო ნათლად იკვეთება კომისიის დანარჩენი წევრების მხრიდან მათზე დაკისრებული მოვალეობების უგულვებელყოფა. ჩვენ ვერ ვნახეთ ვერც ერთი ოქმი ან ჩანაწერი კომისიის სხდომებიდან სადაც მისი რომელიმე წევრი წლების მანძილზე კითხვას მაინც დასხვამდე, ან საკითხის დღის წესრიგში შეტანას მოითხოვდა იმის გასარკვევად თუ რა წარმონაქმნი იყო ტელევიზია რომელსაც ყოველი ჩვენგანი ოჯახებში ვიღებდით, მაგრამ სამართლებრივ გარემოში არ არსებობდა.

კერძოდ, შპს ტელეკომპანია „ალანია“ სიხშირული სპექტრით მაუწყებლობდა 2005 წლიდან. აღნიშნული დასტურდება 2007 წელს პრეზიდენტის გამოსვლითაც, სადაც ის ადასტურებს, რომ არის ის „ალანიას“ აქტიური მაყურებელია, მიუხედავად იმისა, რომ საზღვრისპირა რეგიონში ცდილობენ მისი სიგნალის დახშობას“.

საგამომიებო კომისიამ ასევე მიიღო შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრის“ ოფიციალური პასუხი, რომლითაც ასევე დასტურდება

„ალანიას" მაუწყებლობას. კერძოდ წერილში ვკითხულობთ „2007 წლის ივლისში, კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარის დიმიტრი ქიტოშვილის ზეპირი განკარგულების საფუძველზე, შპს „ალანიას"-ს სატელევიზიო გადამცემი სისტემები და რადიო-სარელეო სისტემები თბილისის გარდა, განთავსდა აგრეთვე სხვადასხვა რეგიონებში მდებარე სატელევიზიო ანძებზე, კერძოდ გორის სატელევიზიო ანძზე (სატელევიზიო გადამცემი და რადიო-სარელეო სისტემა), ბეკამში (რადიო-სარელეო სისტემა), ბორჯომის სატელევიზიო ანძაზე (რადიო-სარელეო სისტემა), ასპინძის სატელვიზიო ანძაზე (სატელევიზიო გადამცემი და რადიო-სარელეო სისტემა). ჩვენთვის ცნობილი იყო, რომ გორში მონტაჟი განხორციელდა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ, რომლებიც ასევე კონტროლს უწევდნენ მათ შეუფერხებელ მუშაობას. ჩვენი ზეპირი მოთხოვნის მოუხედავად, რომ ოფიციალური სახე მისცემოდა მათი აპარატურის განთავსებას, სასურველი შედეგი არ მოჰყოლია 2010 წლამდე.

ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ რომ ქ. თბილისში მაუწყებლობა მიიმდინარეობდა 35-ე სიხშირულ არხზე. ახალციხეში სატელევიზიო მაუწყებლობა ხორციელდებოდა მობილური კავშირგაბმულობის კომპანია შპს „ჯეოსელი"-ს კუთვნილი ანძიდან."[20]

კიდევ ორი მნიშვნეოლვანი გარემოება. მიუხედავად იმისა რომ 2008 წლის მაისში „ალანიამ" გააოფიციალურა საკუთარი საქმიანობდა ლიცენზია მიიღო კომისიისაგან კიდევ 2 წლის მანძილზე ტელეანძასთან ურთიერთობაში არაფორმალურ მდგომარეობას ინარჩუნებდა რითიც თავიდან აიცილა შესაბამისი გადასახადების გადახდა, რაზეც კომისიას რეაგირება არ განუხორციელებია. ვითარება სრულიად კურიოზული იყო, ვინაიდან ჯერ 2 წლის მანძილზე სრულიად უკანონოდ მაუწყებლობდა ტელევიზია, შემდეგ მიიღეს ლიცენზია და კიდევ 2 წლის მანძილზე არავითარი კონტრაქტი ტელეანძასთან ან სხვა რომელიმე მსგავსი ფუნქციის მატარებელ ორგანიზაციასთან არ ქონიათ რაც ფორმალურად იმას

[20] შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრი" წერილი #09/241, 21.06.2013

ადასტურებდა რომ მაუწყებლობა ვერ უნდა განეხორციელებინა. კომისია კი ორივე შემთხვევაში დუმდა.

უფრო მეტიც, 2013 წლის 18 ივლისს საგამოძიებო კომისიაში ბატონი კარლო კვიატაიშვილის მიერ გამოგზავნილი წერილიდან ირკვევა, რომ ტელეკომპანია „ალანია" 2010 -2011 წლებში რეგულირების საფასურის გადახდის დოკუმენტაციას არ უგზავნიდა მარეგულირებელ კომისიას თუმცა როგორც ბატონი კვიტაიშვილი გვაცნობებს: რაც შეეხება რეგულირების საფასურს და წარმოუდგენელ დოკუმენტაციას, კომისიის მხრიდან ამას გარკვეული ღონისძიებები არ მოჰყოლია.

თავისთავად საინტერესო გარემოებაა, ის ფაქტი, რომ 2007 წლის რამდენიმე ჟურნალისტი აწარმოებდა ოფიციალურ მიმოწერას მარეგულირებელი კომისიის მაშინდელ თავმჯდომარესთან, გიორგი არველაძესთან, რომელიც ოფიციალურ მიმოწერაში არ ადასტურებს ასეთი ტელეკომპანიის არსებობის ფაქტს, და აცხადებს, რომ ამის შესახებ კომისია ინფორმაციას არ ფლობდა. იგივეს ადასტურებდა სკეკ-ის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი საჯარო გამოსვლებში. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტების მხრიდან, კომისიამ მიიღო ოფიციალური შეტყობინება უკანონო მაუწყებლობის ფაქტის შესახებ, კომისიის მხრიდან ამას არავითარი რეაგირება არ მოყოლია.

საბოლოო ჯამში, ზემოაღნიშნულ ტელეკომპანიას ლიცენზია მიენიჭა სკეკ-ის მიერ 2008 წლის 22 მაისს. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ ტელეკომპანია 2005 წლიდან 2008 წლის 16 მაისამდე მაუწყებლობდა და სიხშირულ რესურსს იყენებდა კანონდარღვევით, თუმცა მის მიმართ არათუ პასუხისმგებლობის საკითხი არ დასვა მარეგულირებელმა ორგანომ, და ლიცენზიის მოთხოვნა სრულიად უპრობლემოდ დაუკმაყოფილა.

## 9. სხვა სადავო საკითხები

დროებით საგამოძიებო კომისიაში განხილვის ეტაპზეა სხვადასხვა კომპანიების საჩივრები. კერძოდ,

- შპს სამაუწყებლო კომპანია „ჰერეთი"
- შპს „სისტემა გამა"
- შპს „მეცხრე არხი"
- შპს სტუდია მაესტრო
- ტელეკომპანია „აფაზეთის ხმა"
- ტელეკომპანია „საქართველო"
- სს ჯი-ენ-ენ
- სისტემნეტი
- შპს ტელე-რადიო კომპანია „თრიალეთი"
- შპს რადიოცენტრი პლუს (რადიო პალიტრა)
- შპს „რადიომაუწყებლობა ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის" (Kiss Fm)

დავები რომლის თაობაზეც შემოსულია საჩივრები საგამოძიებო კომისიაში მნიშვნელოვანი დარღვევების და ხშირ შემთხვევებში დანაშაულის ნიშნების მატარებელ ფაქტებს შეეხება.

შპს "Kiss FM"

შპს "Kiss FM" წარმოადგენლები ჩვენთან საუბარში დეტალურად აღწერდნენ როგორ დაათმობინეს ძალიან რადიო მაშინდელი, კულტურის მინისტრის მოადგილის ლადო ვარძელაშვილის მითითებით. რადიოს დამფუძნებელი ჩვენთან საუბარში დეტალურად იხსენებს როგორ მივიდა მასთან თბილისის საკრებულოს წევრი ირაკლი ნადირაძე შესთავაზა წილის დათმობის შეთავაზება.

კომისიის საქმიანობის პერიოდში კომისიის თავმჯდომარეს საჩივარში მითითებული დეტალების დაზუსტების მიზნით ჰქონდა პირველადი გასაუბრება საჩივრის ავტორთან და იგი მზად არის კომისიას მისცეს ჩვენება საჯარო, ღია სხდომაზე.

## კომპანია „ჯი-ენ-ენ"

კომპანია „ჯი-ენ-ენ"-ის საჩივარი, ჩვენთვის უკვე ცნობილ თემას მარეგულირებელი კომისიის მხრიდან, GMG-ის სასარგებლოდ განხორციელებულ ქმედებებს შეეხება. კერძოდ, კომპანია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის ირაკლი ჩიქოვანის ზეწოლით შპს „გლობალ მედია ჯგუფთან" (GMG) რეტრანსლირების ხელშეკრულების გაფორმების ფაქტთან დაკავშირებით პროკურატურისაგან გამოძიების დაწყებას მოითხოვს. კომპანია მიუთითებს, რომ იძულებული გახდა გაეფორმებინა კონტრაქტი GMG - სთან მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის მიერ დადგენილი ფასი მაღალი იყო (ერთი აბონენტი - 9 ლარი) ამ შეთავაზებას პირად საუბრებში მხარს უჭერდა ირაკლი ჩიქოვანი და ურჩევდა ოპერატორებს გამორთული რეიტინგული არხები GMG-ის კონტენტით ჩაენაცვლებინა. წინააღმდეგ შემთხვევაში სანქციების დაკისრების საშიშროებაზე მიანიშნებდა. თავად ჯი-ენ-ენი GMG-სთან ხელშეკრულების გაფორმების წინააღმდეგობის გაწევის პროცესში, 2011 წლის პირველ ნახევარში რამოდენიმეჯერ შემოწმდა მარეგულირებელი კომისიის მიერ. შემოწმების შედეგად ორი სანქცია იქნა გამოყენებული.

## ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია

კიდევ ერთ თემაზე ითხოვს კომისიის გამოძიებას ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია. ორგანიზაციის მიერ 2013 წლის 31 იანვარს საქართველოს მთავარ პროკურატურაში წარდგენილი განცხადება ეხება ფიჭური კავშირგაბმულობის ბაზარზე ურთიერთჩართვის ტარიფების განსაზღვრის და სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ცენტრალური ბაზრის ადმინისტრატორი კომპანიის შერჩევისას განვითარებულ მოვლენებს. სკეკ-ის 2010 წლის 21 მაისის #240/9 გადაწყვეტილების საფუძველზე შპს „მაგთიკომს" და შპს „ჯეოსელს" განესაზღვრათ ურთიერთჩართვის ზღვრული ტარიფი - 8 თეთრის ოდენობით წუთზე (დღგს ჩათვლით), შპს „მობიტელისათვის" ძალაში დარჩა

მანამდე მოქმედი ზღვრული ტარიფი - 14,8 თეთრის ოდენობით. ამ გადაწყვეტილების თანახმად, შპს „მაგთიკომი" და შპს „ჯეოსელი" ბაზრის მესამე მოთამაშეს შპს „მობიტელს" ქსელში ჩართვისათვის გადაუხდიდნენ 14,8 თეთრს წუთზე, მაშინ როდესაც იგივე მოსახურებაში შპს „მობიტელს" უნდა გადაეხადა მხოლოდ 8 თეთრი წუთზე. შესაბამისად, სხვაობამ ერთის მხრივ შპს „ჯეოსელისა" და შპს „მაგთიკომის" მიერ გადასახდელ ტარიფსა და მეორეს მხრივ შპს „მობიტელის" მიერ გადასახდელ ტარიფს შორის შეადგინა 6.8 თეთრი. კომისიის ქმედების შედეგად, კონკრეტულმა კომპანიამ უკანონოდ მიიღო მნიშვნელოვანი გამორჩენა და უპირატესობა, ფაქტობრივად კომისიის გადაწყვეტილებით განხორციელდა შპს „მობიტელის" სუბსიდირება ბაზრის სხვა მოთამაშეთა ხარჯზე.

## 10. 2008 წლის აგვისტოს ომი

საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარის და წევრების მიერ ექსპერტებისა და სპეციალისტების პირველადი გამოკითხვის შედეგად კომისიის მხრიდან მასზე დაკისრებული ფუნქციების არაჯეროვნად შესრულების ერთ ერთ თვალსაჩინო მაგალითად 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ქვეყანაში შექმნილი კომუნიკაციური კრიზისი სახელდებოდა.

საკითხის გამოკვლევის მიზნით საგამოძიებო კომისიამ 2013 წლის 12 ივნისს #17706/3-113 წერილით მიმართა სკეკ-ს და მოითხოვა 2008 წლის 7-20 აგვისტოში კომისიაში ჩატარებული სხდომების ოქმები - კომისიის 2013 წლი 14 ივნისის #01/1290-13 კორესპონდენციის თანახმად აღნიშნულ პერიოდში განხილული იყო შემდეგი საკითხები:

✓ 2008 წლის 08 აგვისტო,12:00 სთ - ინტერნეტის ქსელით საბითუმო მომსახურების ბაზრის სეგმენტზე კვლევისა და ანალიზის თაობაზე;

✓ 16:00 სთ - ღია საზოგადოება „მეგაფონის" მიერ წარმოდგენილი განცხადების განხილვა, სააბონენტო ნუმერაციის გამოყენებით ადგილობრივი საკომუნიკაციო

მომსახურების განსახორციელებლად ქ.თბილისში ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად აუქციონის გამოცხადების შესახებ;

✓ 17:00 სთ - ციფრების სამნიშნა კომბინაციის 8-7-4 ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად აუქციონის გამოცხადების შესახებ, შპს „სერვისლაინისათვის" რადიოსარელეო სიხშირეების მინიჭების შესახებ;

✓ 2008 წლის 13 აგვისტო, 16:00 სთ - ღია საზოგადოება „მეგაფონის" მიერ წარმოდგენილი განცხადების განხილვის შესახებ;

2008 წლის 15 აგვისტო - შპს „ივერია მოტორსისათვის" სიხშირეების მინიჭების შესახებ, ამხანაგობა „ვაკე პალასისათვის" სიხშირეების მინიჭების შესახებ, შპს „ბაოსათვის" სიხშირეების მინიჭების შესახებ, ი/მ „აკაკი ნადიბაიძისათვის სიხშირეების მინიჭების შესახებ, საშტატო ნუსხაში ცვლილების შეტანის შესახებ, „ელექტონულ საკომუნიკაციო კანალიზაციაში კაბელების გატარების მომსახურების ბაზრის სეგმენტზე სს „გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიისათვის" ხარჯებზე ორიენტირებული ზღვრული ტარიფების განსაზღვრისა და 2005 წლის 21 ოქტომბრის #656/22 და 2007 წლის 17 აპრილის #191/9 გადაწყვეტილებებით განსაზღვრული სპეციფიკური ვალდებულებები პირობების დაკონკრეტების თაობაზე.

მოგვიანებით საგამოძიებო კომისია შეეცადა დეტალური ინფორმაცია მოეღო როგორც სკეკ- ისაგან, ისე სახელმწიფო სტრუქტურებისაგან:

1. საგამოძიებო კომისიამ #18850/3-113 წერილით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან გამოითხოვა ინფორმაცია 2008 წლის აგვისტოს ომის მოვლენების დრო ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში სახელმწიფო თავდაცვის, უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე - სამინისტროს 2013 წლის 19 ივლისის #12/5128 კორესპონდენციით ირკვევა, რომ „საგანგებო მდგომარეობის პერიოდში აღნიშნულ სამუშაოთა შესრულებაში სამინისტრო ოპერატიულად თანამოქმედებდა საოპერატორო კომპანიებთან და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიასთან, ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოებთან, რის შედეგადაც

შესაძლებელი გახდა მთლიანობაში ქვეყნის საერთო სარგებლობის ელექტრონული კომუნიკაციების ქსელების ფუნქციონირების შენარჩუნება, გამოკლებით, რომელიც უშუალოდ საომარი მოქმედებების ეპიცენტრში იყვნენ განთავსებულნი [...] სამინისტრო არ ფლობს ინფორმაციას საომარი მოქმედებების პერიოდში კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დამოუკიდებელ საქმიანობაზე" ;

2. საგამოძიებო კომისიამ #18849/3-113 წერილით სკეკ-ის გამოითხოვა ინფორმაცია 2008 წლის აგვისტოს ომის მოვლენების დრო ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში სახელმწიფო თავდაცვის, უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე;

3. საგამოძიებო კომისიამ #18851/3-113 წერილით საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან გამოითხოვა ინფორმაცია 2008 წლის აგვისტოს ომის მოვლენების დრო ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში სახელმწიფო თავდაცვის, უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე.

ამდენად აღნიშნული უწყებებიდან სათანადო დოკუმენტაციის მიღების შემდეგ საგამოძიებო კომისიას ექნება შესაძლებლობა კონკრეტული სამართლებრივი შეფასება მისცეს 2008 წლის აგვისტოს ომის მოვლენების დრო ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში სახელმწიფო თავდაცვის, უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნით განხორციელებული ღონისძიებებში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აქტოვობებსა და მიღწეულ შედეგებს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა მოქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის დასკვნა ცალკე საკითხად არ გამოყოფს საომარი მოქმედებების დროს კომუნიკაციების უსაფრთხოებისა და დაცულობის საკითხს. ამდენად აღნიშნული საკითხი დამატებით კვლევას საჭიროებს.

## 11. ინტერესთა კონფლიქტი მარეგულირებელ კომისიაში

### კომისიონერის კარლო კვიტაშვილის ინტერესთა კონფლიქტი

ბატონი კარლო კვიტაშვილი 2007 წლის 17 ნოემბრიდან სკეკ-ის წევრია, (2009 წლის მარტის თვეში ის განმეორებით დაინიშნა კომისიის წევრად) 2013 წლის 16 აპრილიდან კი სკეკ-ის თავმჯდომარეა.

ბატონ კვიტაიშვილის საქმიანობის შესწავლის მიზნით საგამოძიებო კომისიამ მიმართა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და პოლიტიკურ გაერთიანება „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას".

ცესკოს საგამოძიებო კომისიაში წარმოდგენილი #03-04/745 წერილით ირკვევა, რომ ბატონი კარლო კვიტაიშვილი 2005 წლის 6 აგვისტოდან 2013 წლის 24 აპრილამდე იყო საარჩევნო კომისიაში პოლიტიკური გაერთიანების „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წარმომადგენელი. აღნიშნულს ადასტურებს ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობაც" (2013 წლის 28 ივნისის #249/01 კორესპონდენცია). შესაბამისად, ბატონი კვიტაიშვილის სკეკ-ში წევრობის მთელი პერიოდის განმავლობაში იგი პარალელურად კონკრეტული პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლის ფუნქციებს ითავსებდა.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ,,საარჩევნო სუბიექტის (არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის, საარჩევნო ბლოკის, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის) წარმომადგენელი საარჩევნო სუბიექტს წარმოადგენს შესაბამის საარჩევნო კომისიასთან ურთიერთობაში." საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი იცავს პარტიის ინტერესებს, რომელსაც წარმოადგენს. მოცემულ შემთხვევაში კარლო კვიტაიშვილი ცესკოში მოქმედებდა სწორედ ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ინტერესებიდან გამომდინარე.

მიუხედავად იმისა, რომ საგამოძიებო კომისიას ეცნობა, რომ კვიტაიშვილი არ ყოფილა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური

მოძრაობის" წევრი[21], კომისია მოკლებულია შესაძლებლობას დამოუკიდებელი წყაროებით გადაამოწმოს აღნიშნული ფაქტის ნამდვილობა. ,,მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოში არ არსებობს პარტიების წევრების საჯაროდ ხელმისაწვდომი რეესტრის წარმოების ვალდებულება, რომელიც უტყუარად დაადასტურებს ამა თუ იმ პირის პარტიულ კუთვნილებას და ჭეშმარიტების დადგენის ობიექტურ კრიტერიუმს შემოგვთავაზებს.

პარტიების მიერ მიღებული ან გარიცხული წევრების მონაცემები არ რეგისტრირდება რომელიმე სხვა დამოუკიდებელ დაწესებულებაში და ის ინახება მხოლოდ პარტიაში. შესაბამისად, პარტიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისწორის გადამოწმება, კონკრეტული პირი ირიცხება თუ არა მის წევრად, შეუძლებელია. ბუნებრივია ჩვენ არ ვაპირებთ კონკრეტული პოლიტიკური პარტიების წევრობის საკითხის რევიზიას, თუმცა იმ შემთხვევებში როდესაც, უტყუარი მტკიცებულებებით დადგენილია რომ თანამდებობის პირი სისტემატიურად და არა-ერთჯერადად, ოფიციალურ ურთიერთობებში მოქმედებდა პარტიის სახელით, მის ინტერესებში და ანხორციელებდა წარმომადგენლობას, შესაძლებელია ვამტკიცოთ საჯარო სამსახურში ინტერესთა კონფლიქტისა და შეუთავსებლობის ფაქტის არსებობა.

**კომისიის მიერ უტყურად დადგენილი ფაქტია, რომ კარლო კვიტაიშვილი წლების განმავლობაში ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მოქმედებდა და ატარებდა პარტია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ინტერესებს.**

**გარდა ამისა, კომისიის მიერ ასევე უტყუარად დადგენილი ფაქტია, რომ ბატონი კარლო კვიტაიშვილი, 2010 წლის ადგილობრივ არჩევნებზე იყო საარჩევნო სუბიექტი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" შემომწირველი[22].**

,,საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ"

---

[21] ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" გენერალური მდივნის მოადგილის მიხეილ მაჭავარიანის 2013 წლის 16 ივლისის #273/01 წერილი

[22] იხილეთ ინფორმაცია ბმულზე http://cesko.ge/files/archevnebi%202010/fondis%20angarishi/nacionalebi/shualeduriangarishi.pdf

საქართველოს კანონის მეორე მუხლის „ს" ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიის წევრი წარმოადგენს თანამდებობის პირს. ამავე კანონის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად,

„**თანამდებობის პირს** უფლება არა აქვს იყოს რომელიმე ფიზიკური ან **იურიდიული პირის წარმომადგენელი** ან რწმუნებული, ან განახორციელოს წარმომადგენლობა ან დაცვა სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებში რომელიმე **სახაზინო დაწესებულების** წინაშე ან წინააღმდეგ, იმ შემთხვევის გარდა, როცა იგი არის ამ ფიზიკური პირის მეურვე ან მზრუნველი."

თუკი დეტალურად, სიტყვა-სიტყვით განვიხილავთ აღნიშნულ შეზღუდვას მივიღებთ მარტივ ფორმულას:

**თანამდებობის პირი** -- საქართველოს დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიის წევრი

**იურიდიული პირი** -- პოლიტიკური გაერთიანება

**წარმომადგენლობის განხორციელება** -- საარჩევნო კოდექსით დადგენილი წარმომადგენელი

**სახაზინო დაწესებულება** -- ცენტრალური საარჩევნო კომისია

„საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ აკრძალვას, „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად ემატება მარეგულირებელი კომისიის წევრი - თანამდებობის პირის ინტერესთა კონფლიქტის შემადგენელი კიდევ ერთი კომპონენტი პოლიტიკური მიუკერძოებლობა. ინტერესთა კონფლიქტის არსებობის დადგენისათვის, ჩვენი ამოცანაა დავადგინოთ კონკრეტული პირის საქმიანობა ეწინააღმდეგება თუ არა კანონის სულისკვეთებას და წინააღმდეგობაში მოდის თუ არა კანონით დადგენილი შეზღუდვის არსთან, დამოუკიდებელი კომისიონერი თავის საქმიანობაში არ უნდა

იყოს რომელიმე პარტიის ინტერესის მატარებელი. შესაბამისად, აღნიშნული ჩანაწერის მიზანია უზრუნველყოს კომისიონერის დამოუკიდებლობა პოლიტიკური ზეგავლენისგან. მარეგულირებელი ორგანოს წევრების პოლიტიკური ზეგავლენისგან დამოუკიდებლობის საკითხებზე ყურადღება გამახვილებულია ტელეკომუნიკაციის ჩარჩო დირექტივაშიც[23].

ვინაიდან კარლო კვიტაიშვილი წლების განმავლობაში წარმოადგენდა ,,ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" მესამე პირებთან ურთიერთობაში და ატარებდა კონკრეტული პოლიტიკური პარტიის ინტერესებს, შესაბამისად, მსგავსი პირი ვერ ჩაითვლება პოლიტიკური ზეგავლენისგან დამოუკიდებლად. რაც იწვევს არა მხოლოდ ,,საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონის, არამედ ,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევას.

ამდენად კომისიის აზრით, სახეზეა კარლო კვიტაიშვილის ინტერესთა კონფლიქტი, რაც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ბატონი კარლო კვიტაიშვილის თანამდებობიდან გადაყენების საფუძველია.

23 http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2002:108:0033:0033:EN:PDF

კომისიონერის ირაკლი ჩიქოვანის ინტერესთა კონფლიქტი

თანამდებობის პირი

ირაკლი ჩიქოვანი კომისიის წევრად 2009 წლის 16 ივნისს დაინიშნა. ის 2013 წლის 15 აპრილამდე სკეკ-ის თავმჯდომარის პოზიციას იკავებდა.

ბიზნეს პარტნიორი

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერით დასტურდება, რომ ირაკლი ჩიქოვანი ფლობს შპს „მაგი სტილი მედიას" საერთო წილის 35%-ს.[24] აღნიშნული კომპანიის წესდების 2.2 პუნქტის თანახმად, საზოგადოების საქმიანობის ძირითადი საგანი სატელევიზიო რეკლამების მომსახურება და ტელევიზიებში მათი განთავსებაა.

„შპს ,,მაგი სტილი მედიას" მიერ ტელევიზიებში რეკლამების განთავსების ფაქტი დასტურდება ხსენებულ კომპანიასა და რეკლამის განთავსების მსურველებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით. ამონარიდი ერთერთი ხელშეკრულებიდან:

"მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე "შემსრულებელი" (,,მაგი სტილი მედია'') იღებს ვალდებულებას, წინასწარ შეთანხმებული ტელევიზიების ეთერით განათავსოს "დამკვეთის" მიერ მოწოდებული მზა რეკლამა." ამავე ხელშეკრულების თანახმად, შემსრულებელი ვალდებულია: "განათავსოს დამკვეთის მიერ წარმოდგენილი მედიაგეგმის საფუძველზე სარეკლამო რგოლები შემდეგ არხებზე: რუსთავი 2, პირველი სტერეო, იმედი, მზე, საქართველო, I არხი."[25]

საქართველოს კანონი

,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ,,თ" ქვეპუნტის თანახმად, „რეკლამის შესახებ" საკანონმდებლო აქტების შესრულებაზე ზედამხედველობა კომისიის ფუნქციაა.

---

[24] https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=541271&app_id=618750

[25] კვლევა „სამოქალაქო მონიტორინგი სატელევიზიო მედიასივრცეში ვითარების გაუმჯობესებისათვის" - გვ 9

ამასთან, სკეკ-ის 2007 წლის 16 მარტის #3 დადგენილების მე-8 მუხლის „დ" ქვეპუნქტის მიხედვით, „რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონის შესრულებაზე მონიტორინგი, შემოწმება და შემოწმების აქტის შედგენა კომისიის მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტის ძირითად ფუნქციად განისაზღვრა.

ირაკლი ჩიქოვანს, როგორც კომისიის თავმჯდომარეს და წევრს ჰქონდა ვადებულება, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად რეგულარული კონტროლი და შემოწმება განეხორციელებინა სხვადასხვა ტელეკომპანიებში რეკლამის განთავსების წესებზე, მაგალითად, რეგულარულად შეემოწმებინა კანონით განსაზღვრული სარეკლამო დროის ლიმიტის დაცვა, გამოევლინა დარღვევის ფაქტები და კანონით გათვალისწინებული სანქციები დაეკისრებინა დამრღვევებისათვის.

**ვალდებულებების შეუსრულებლობა**

ჩვენი მოთხოვნის მიუხედავად კომისიამ ვერ წარმოგვიდგინა ვერც ერთი დოკუმენტი რომელიც დაადასტურებდა მათი მხრიდან კანონით დადგენილი ვალდებულების შესრულების ფაქტს, რომ მათი მხრიდან ხორციელდებოდა კანონით დადგენილი რეკლამის განთავსების ლიმიტების კონტროლი.

კომისიისთვის წლების განმავლობაში შეუმჩნეველი რჩებოდა ზოგიერთი მა-უწყებლის მიერ რეკლამის ლიმიტის გადაჭარბების შემთხვევები. კერძოდ, კომისიამ ვერ დააფიქსირა შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2"-ისა და შპს „ტელეიმედის" მიერ სარეკლამო ჭრისთვის დადგენილი ინტერვალის დარღვევის ფაქტები. აღ-ნიშნულთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება მხოლოდ „სტუდია მო-ნიტორის" მიერ საჩივრის წარდგენის შემდეგ დაიწყო. ხსენებული საჩივრის საფუძველზე, კომისიამ გაფრთხილება მისცა შესაბამის სატელევიზიო მაუწყებლებს, აგრეთვე მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტს დაავალა, განეხორციელებინა სისტემატური მონიტორინგი კერძო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელთა მიერ აღნიშნული მოთხოვნის დაცვაზე, თუმცა აღმოჩნდა რომ აღნიშნული დავალება მხოლოდ ფორმალობა იყო და კვლავაც ვერ ახერხებდა კომისია აღნიშნული დარღვევების მონიტორინგს და მათ სათანადოდ აღრიცხვას. კომისიის 2011 წლის 10

მაისის N 229/18 გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ შპს ,,სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2" და შპს ,,ტელეიმედი" განაგრძობდნენ სარეკლამო ინტერვალის დარღვევას, თუმცა კომისიის მხრიდან ამგვარ ფაქტებს არავითარი რეგირება არ მოჰყოლია. ამავე საკითხზე ადმინისტრაციული წარმოება მხოლოდ მას შემდეგ განახლდა, რაც განმეორებითი საჩივარი კვლავ ,,სტუდია მონიტორმა" წარადგინა. საჩივრის საფუძველზე, კომისიამ ტელეკომპანიებს 2 500 ლარიანი ჯარიმები დააკისრა.

საგულისხმოა, რომ ერთადერთი ქმედითი ღონისძიება რაც ამგვარ ერთჯერად აქტს მოჰყვა, ,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებები იყო, რომელთა მიხედვითაც, მნიშვნელოვნად გაიზარდა სარეკლამო დროის ოდენობა.

ინტერესთა კონფლიქტი

**მარეგულირებელი კომისიის მიერ, მისი კანონით დაკისრებული ვალდებულების ჯეროვანი შესრულება რეკლამის კანონის მოთხოვნების დაცვას გამოიწვევდა, რაც თავის მხრივ შეამცირებდა შესაბამის ტელეარხებზე რეკლამის რაოდენობას, ეს კი შესაბამისად უარყოფითად აისახებოდა იმ კომპანიის შემოსავლებზე, რომელსაც პრაქტიკულად ექსკლუზიური უფლება ქონდა მოპოვებული ნაციონალური დაფარვის ტელეარხებზე რეკლამის განთავსებისათვის, და რომლის მფლობელიც თავად ბატონი ჩიქოვანი იყო.**

კიდევ უფრო მარტივად რომ ავღწეროთ ვითარება, კანონის შესრულება პირდაპირ კავშირში იყო მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარის პირად შემოსავლებთან. შესაბამისად სრულიად ლოგიკური და ახსნადია კომისიის დუმილი კანონის დარღვევაზე და საკუთარი ფუნქციის შეუსრულებლობა.

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის თანახმად, კომისიის წევრის ინტერესთა კონფლიქტად ითვლება, თუ მას იმავდროულად აქვს "სხვა პირდაპირი ან არაპირდაპირი ეკონომიკური ინტერესი იმ პირის მიმართ, რომლის საქმიანობაც განეკუთვნება კომისიის რეგულირების სფეროს." ამავე საკანონმდებლო აქტის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, აღნიშნული გარემოება კომისიის წევრის თანამდებობიდან

გათავისუფლების საკითხის დასმის საფუძველს წარმოადგენს.

ირაკლი ჩიქოვანის პირდაპირ ან არა-პირდაპირ ეკონომიკურ ინტერესზე მხოლოდ შპს „მაგი სტილი მედია"-ში მისი მონაწილეობა არ მიანიშნებს, თუმცა ვინაიდან ეს უკანასკნელი კომისიის სხდომაზე ჩვენს მიერ გაკეთებული გაცხადების შემდეგ გადადგა დაკავებული თანამდებობიდან დამატებით გარემოებების დეტალურად აღწერა საჭიროდ არ მიგვაჩნია.

თუმცა, აღნიშნული ფაქტი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმის დემონსტრირებისათვის, რომ ბატონი ჩიქოვანი მისი სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელების დროს არა-კანონის, არამედ საკუთარი ბიზნეს ინტერესებით ხელმძღვანელობდა, არამედ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია სხვა გარემოების დასადასტურებლად, რაც კომისიის კვლევის საგანს წარმოადგენს. ითხოვდნენ თუ არა კომისიის სხვა წევრები კანონით მათზე დაკისრებული ფუქციების შესრულებას? როგორ მოქმედებდა წლების განმავლობაში მარეგულირებელი კომისია, როგორც კოლეგიალური ორგანო, მისი ერთ-ერთი მთავარი ფუნქციის სარეკლამო ბაზრის რეგულირების შესრულებისთვის? კონკრეტულ კომპანიებთან მიმართებაში მასშტაბურ დარღვევებზე რეაგირებას ითხოვდა თუ არა კომისიის რომელიმე წევრი და როგორ იღებდნენ მსგავს გადაწყვეტილებებს კომისიაში?

ჩატარებული კვლევის შედეგად, სწორედ ამ კითხვებზე ამომწურავ პასუხს გასცემს კომისიის საბოლოო დასკვნა, იმის შემდეგ რაც ღია და საჯარო სხდომებზე, სექტემბრის თვეში მოხდება როგორც კომისიის წევრების, ასევე სხვა ინფორმაციის მატარებელი პირების დაკითხვა.

### 11.1. კომისიონერის სამსახურში გამოუცხადებლობა 2 თვეზე მეტი ხნით

ირაკლი ჩიქოვანი შვებულებაში 2012 წლის 6 ნოემბერს 24 დღით გავიდა. 2013 წლის 10 იანვარს მან შვებულების გაგრძელება ითხოვა და ამ წლის კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულება სრულად გამოიყენა. ის 12 იანვრიდან 24 დღით კვლავ გავიდა შვებულებაში, რომელიც 14 თებერვალს ამოიწურა, თუმცა სამსახურში

დღემდე არ დაბრუნებულა.[26] ამასთანავე შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოგვაწოდა ოფიციალური ცნობა ირაკლი ჩიქოვანის მიერ ქვეყნის დატოვების შესახებ გასული წლის ნოემბერში, რის შემდეგაც მას სახელმწიფო საზღვარი აღარ გადმოუკვეთავს. [27]

2013 წლის 15 აპრილს მან პრეზიდენტს მიმართა განცხადებით და „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-15 პუნქტის შესაბამისად თავმჯდომარეობიდან გადადგა, თუმცა დარჩა რიგით კომისიონერად.

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, პარლამენტის სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს შეუძლია აღძრას კომისიის წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების პროცედურა ზედიზედ 2 თვის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით კომისიის წევრის უფლებამოსილების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

შვებულების დასრულების - 14 თებერვლის შემდეგ ირაკლი ჩიქოვანს არ წარმოუდგენია არანაირი დამადასტურებელი საბუთი იმისა, რომ ის საპატიო მიზეზით არ ცხადდება სამსახურში.

2013 წლის 15 ივლისს, მას შემდეგ რაც ცნობილი გახდა საგამოძიებო კომისიის მხრიდან მისი იმპიჩმენტის დაწყების პროცედურების შესახებ, ირაკლი ჩიქოვანმა ოფიციალურად მიმართა საქართველოს პრეზიდენტს კომისიის წევრობიდან გადადგომის შესახებ.

საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის შესახებ სამართლებრივი აქტი გამოსცა. დოკუმენტი 2013 წლის 24 ივლისითაა[28] დათარიღებული.

---

[26] http://www.media.ge/ge/portal/news/300253/

[27] საგამოძიებო კომისიამ 2013 წლის 18 ივლისს #19393/3-113 წერილით შეკითხვით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს - 2012 წლის 01 ნოემბრიდან დღემდე პერიოდში როდის გადაკვეთა საქართველოს საზღვარი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის კომისიონერმა ბატონმა ირაკლი ჩიქოვანმა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრის მონაცემებით, მითითებულ პერიოდში ბატონმა ირაკლი ჩიქოვანმა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი გადაკვეთა სამჯერ, მათ შორის ბოლო გასვლა დაფიქსირებულია 2012 წლის 17 ნოემბერს.

[28] http://president.gov.ge/ge/PressOffice/Documents/LegalActs?p=8385&i=1

დანართი 1

საგამოძიებო კომისიის 2013 წლის 25 ივნისის #18278/3-113 კორესპონდენციას, რომელიც გაიგზავნა კერძო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელებსა და მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირების სახელზე მათი (მთლიანობაში 197 წერილი) საქმიანობის განმავლობაში წარმოშობილი სამართლებრივი პრობლემების ანალიზის მიზნით, საპასუხო გამოხმაურება მოჰყვა ადრესატების მხრიდან.

აქედან 14-მა სუბიექტმა საგამოძიებო კომისიას აცნობა, რომ მათი საქმიანობის განხორციელებისას სამართლებრივი პრობლემები არ გამოვლენილა, ხოლო დანარჩენი წარმოდგენილ მასალებში მიუთითებს კონკრეტულ გადაცდომებსა და დარღვევებზე, რამაც მათი საქმიანობის შეფერხება და ხეშეშლა გამოიწვია.

აღსანიშნავია, რომ დროებითმა საგამოძიებო კომისიამ წერილების გაგზავნისას იხელმძღვანელა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მოწოდებული ოფიციალური ინფორმაციით, თუმცა არასრული ან არასწორი მისამართის გამო 32 წერილი უკან დაუბრუნდა საგამოძიებო კომისიას. რაც თავისთავად დარღვევას წარმოადგენს, ვინაიდან კომისია ვალდებულია რეგულირებას დაქვემდებარებული სუბიექტებისაგან მუდმივად განახლებული ინფორმაციას ფლობდეს.

საგამოძიებო კომისიის მიერ გაგზავნილი კომუნიკაციის პასუხად პრობლემური აღმოჩნდა ორი სუბიექტური რეაგირება, კერძოს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2" ხელოვნურად აჭიანურებს ინფორმაციის მოწოდების პროცესს, ხოლო შპს "გლობალ მედია ჯგუფის" (GMG) წარმომადგენელმა ლევან ყუბანეიშვილმა დასაწყისში პრაქტიკულად უარი თქვა თანამშრომლობაზე, თუმცა შემდგომი კომუნიკაციის შედეგად, მართალია კანონის მოთხოვნების დარღვევით და დროის გაჭიანურებით მაგრამ მაინც თანამშრომლობს კომისიასთან.

მოკლედ ინფორმაცია საგამოძიებო კომისიის მიერ სხვადასხვა უწყებებში გაგზავნილი წერილების თაობაზე:

1. საგამოძიებო კომისიამ 20013 წლის 23 მაისს #16953/3-113 წერილით მიმართა სკეკ-ის თავმჯდომარეს და მოითხოვა როგორც შპს ტელე-რადიო კომპანია „თვალთან" დაკავშირებული ინფორმაცია, ისე საქართველოში არსებული ყველა მაუწყებლის ლიცენზიის ასლები, სხდომის ოქმები, როდესაც ეს გადაწყვეტილებები იქნა მიღებული და სხვა ის მასალები, რომელიც განხილული იყო გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სკეკ-ის 2013 წლის 04 ივნისის #01/1164-13 კორესპონდენციით საგამოძიებო კომისიას მოეწოდა ინფორმაცია მითითებული კომპანიის თაობაზე, სრული მასალების მოსამზადებლად კი კომისიამ ითხოვა დამატებითი ვადა. მოგვიანებით, 2013 წლის 17 ივნისს სკეკის #01/1316-13 კორესპონდენციით საგამოძიებო კომისიას მოეწოდა დამატებითი მასალა 4308 ფურცლად;

2. საგამოძიებო კომისიამ 2013 წლის 6 ივნისს #17518/3-113 კორესპონდენციით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს არჩილ კბილაშვილს და მოითხოვა საჩივრები, რომელიც შეტანილ იქნა პროკურატურაში მაუწყებლებისა და კომპანიების მიერ სკკ-ის და მისი კონკრეტული თანამდებობის პირების საქმიანობის თაობაზე. საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 27 ივნისისა (#13/65757) და 15 ივლისის (13/71063) კორესპონდენციებით საგამოძიებო კომისიას გადმოეგზავნა გამოთხოვნილი მასალების ნაწილი;
3. #17700/3-113 განცხადებით 2013 წლის 12 ივნისს (ადრესატი: საქალაქო სასამართლო) გამოთხოვნილ იქნა 2009 წლიდან დღემდე გამართული იმ სასამართლო დავების ჩამონათვალი (მოწინააღმდეგე მხარის მითითებით), რომელშიც სკკ-ი მონაწილეობდა როგორც მოსარჩელე ან მოპასუხე - თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 18 ივნისის წერილით საგამოძიებო კომისიას ეცნობა, რომ მითითებულ პერიოდში 81 დავა იქნა განხილული;
4. #17700/3-113 განცხადებით (ადრესატი: თბილისის სააპელაციო სასამართლო) გამოთხოვნილ იქნა 2009 წლიდან დღემდე გამართული იმ სასამართლო დავების ჩამონათვალი (მოწინააღმდეგე მხარის მითითებით), რომელშიც სკკ-ი მონაწილეობდა როგორც მოსარჩელე ან მოპასუხე. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 17 ივნისის წერილით საგამოძიებო კომისიას ეცნობა, რომ მითითებულ პერიოდში 67 დავა იქნა განხილული;
5. #17700/3-113 განცხადებით (ადრესატი: საქართველოს უზენაესი სასამართლო) გამოთხოვნილ იქნა 2009 წლიდან დღემდე გამართული იმ სასამართლო დავების ჩამონათვალი (მოწინააღმდეგე მხარის მითითებით), რომელშიც სკკ-ი მონაწილეობდა როგორც მოსარჩელე ან მოპასუხე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 18 ივნისის წერილით საგამოძიებო კომისიას ეცნობა, რომ მითითებულ პერიოდში 30 დავა იქნა განხილული;
6. #17709/3-113 განცხადებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან გამოთხოვნილ იქნა სამინისტროსა და ტელევიზიებს შორის 2007 წლიდან დღემდე გაფორმებული ხელშეკრულებების ასლები. მათ შორის ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა პირობით ეთმობოდა შპს „ტელეკომპანია საქართველოს" სამაუწყებლო ბადის ძირითადი ნაწილი თავდაცვის სამინისტროს დაკვეთით დამზადებულ სამხედრო და ისტორიულ გადაცემებს. სამინისტროს 2013 წლის 25 ივნისის #1/485 კორესპონდენციით საგამოძიებო კომისიას ეცნობა, რომ აღნიშნულ პერიოდში სამინისტრომ გააფორმა ოთხი ხელშეკრულება, კონტრაქტორებს წარმოადგენდნენ შპს „ტვ 33", შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2" და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი" ;
7. მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, "2010 წლის იანვარში გურიაში, ოზურგეთში, რეგისტრირებული ტელევიზიის „მადის" დირექტორი _ ავთანდილ დევიძე დააპატიმრეს. მისი ადვოკატის ინფორმაციით, გამოძიება ტელევიზიის დირექტორს ბოლო 5 წლის განმავლობაში დაგროვილ საგადასახადო დავალიანებას _ 55 ათას ლარს ედავებოდა (45 ათასი ლარი ჯარიმაა, 10 ათასი _ საურავი)".[1] – 2013 წლის 12 ივნისს 17713/3-113 კორესპონდენციით საქართველოს პროკურატურიდან

[1] http://netgazeti.ge/GE/7/News/1376/

გამოთხოვნილ იქნა ინფორმაცია შპს „მადის" თაობაზე - საქართველოს პროკურატურის 2013 წლის 27 ივნისის #13/65756 კორესპონდენციით საგამოძიებო კომისიას მოეწოდა შესაბამისი მასალები; კომისიას ინფორმაცია მიაწოდა თავად ავთანდილ დევიძემაც.

8. #17714/3-113 კორესპონდენციით 2013 წლის 12 ივნისს შპს „მადის" თაობაზე გამოთხოვნილი იქნა ინფორმაცია საერთო სასამართლოების არქივიდან - საჯარო დაწესებულების მიერ 2013 წლის 18 ივნისს გამოგზავნილი #2070 კორესპონდენციით საგამოძიებო კომისიას ეცნობა, რომ აღნიშნული მასალები დაცულია ოზურგეთის სასამართლოში (ისინი მოგვიანებით საგამოძიებო კომისიას შპს „მადის" დირექტორმა წარმოუდგინა);
9. 2013 წლის 12 ივნისს #17710/3-113 განცხადება გაგზავნილ იქნა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, საგამოძიებო კომისიის ინტერესია მიიღოს კარლო კვიტაიშვილის შესახებ ცესკოში დაცული ყველა მონაცემი - ცესკოს #03-04/745 წერილით ირკვევა, რომ ბატონი კარლო კვიტაიშვილი 2003 წლის 02 ნოემბრის არჩევნებში საარჩევნო ბლოკის „სააკაშვილი - ნაციონალური მოძრაობა" მიერ პარტიული სიით წარმოდგენილი კანდიდატი იყო ბლოკში შემავალი რესპუბლიკური პარტიიდან, 2003 წლის 30 ნოემბრიდან დანიშნული იყო ცესკოს წევრად, 2005 წლის 09 ივნისიდან 2005 წლის 07 ივნისამდე არჩეული იყო ცესკოს მდივნად, 2005 წლის 07 ივნისიდან შეუწყდა ცესკოს მდივნის უფლებამოსილება, 2005 წლის 6 აგვისტოდან 2013 წლის 24 აპრილამდე კარლო კვიტაიშვილი იყო საარჩევნო კომისიაში პოლიტიკური გაერთიანების „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წარმომადგენელი;
10. საგამოძიებო კომისიამ 2013 წლის 12 ივნისს #17707/3-113 კორესპონდენციით მიმართა შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ს" და გამოითხოვა 2007 წლიდან დღემდე კომპანიის სამაუწყებლო ბადეში განთავსებული გასართობი შოუების ჩამონათვალი და თითოეული მათგანის დაფინანსების წყაროს თაობაზე მონაცემები - 2013წლის 19 ივნისის #0886-13 კორესპონდენციით სამაუწყებლო კომპანიის წარმომადგენელმა ნიკა გვარამიამ მოითხოვა წერილის დაზუსტება; ინფორმაცია დღემდე არ მოუწოდებით.
11. 2013 წლის 12 ივნისს #17715/3-113 წერილით საგამოძიებო კომისიამ მიმართა სკეკ-ს საქართველოს სამინისტროების მიერ მაუწყებლებში განთავსებული სოციალური რეკლამების თაობაზე ინფორმაციის მიღების მიზნით - კომისიის 2013 წლის 17 ივნისის #04/1312-13 კორესპონდენციით ირკვევა, რომ სამინისტროების მიერ მაუწყებელთა სამაუწყებლო ბადეებში სოციალური რეკლამის შესახებ ინფორმაციის მოძიება-შეკრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ წარმოადგენს კომისიის სპეციფიკურ უფლებამოსილებას და აღნიშნული ინფორმაცია დაცული არ არის კომისიაში;
12. საგამოძიებო კომისიამ 2013 წლის 12 ივნისს #17706/3-113 წერილით მიმართა სკეკ-ს და მოითხოვა 2008 წლის 7-20 აგვისტოში სკეკ-ში ჩატარებული სხდომების ოქმები - კომისიის 2013 წლის 14 ივნისის #01/1290-13 კორესპონდენციის თანახმად აღნიშნულ პერიოდში განხილული იყო შემდეგი საკითხები:

- ✓ 2008 წლის 08 აგვისტო,12:00 სთ - ინტერნეტის ქსელით საბითუმო მომსახურების ბაზრის სეგმენტზე კვლევისა და ანალიზის თაობაზე;
- ✓ 16:00 სთ - ღია საზოგადოება „მეგაფონის" მიერ წარმოდგენილი განცხადების განხილვა, სააბონენტო ნუმერაციის გამოყენებით ადგილობრივი საკომუნიკაციო მომსახურების განსახორციელებლად ქ.თბილისში ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად აუქციონის გამოცხადების შესახებ;
- ✓ 17:00 სთ - ციფრების სამნიშნა კომბინაციის 8-7-4 ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად აუქციონის გამოცხადების შესახებ, შპს „სერვისლაინისათვის" რადიოსარელეო სიხშირეების მინიჭების შესახებ;
- ✓ 2008 წლის 13 აგვისტო, 16:00 სთ - ღია საზოგადოება „მეგაფონის" მიერ წარმოდგენილი განცხადების განხილვის შესახებ;
- ✓ 2008 წლის 15 აგვისტო - შპს „ივერია მოტორსისათვის" სიხშირეების მინიჭების შესახებ, ამხანაგობა „ვაკე პალასისათვის" სიხშირეების მინიჭების შესახებ, შპს „ზაოსათვის" სიხშირეების მინიჭების შესახებ, ი/მ „აკაკი ნადიბაიძისათვის სიხშირეების მინიჭების შესახებ, საშტატო ნუსხაში ცვლილების შეტანის შესახებ, „ელექტონულ საკომუნიკაციო კანალიზაციაში კაბელების გატარების მომსახურების ბაზრის სეგმენტზე სს „გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიისათვის" ხარჯებზე ორიენტირებული ზღვრული ტარიფების განსაზღვრისა და 2005 წლის 21 ოქტომბრის #656/22 და 2007 წლის 17 აპრილის #191/9 გადაწყვეტილებებით განსაზღვრული სპეციფიკური ვალდებულებები პირობების დაკონკრეტების თაობაზე;

13. საგამოძიებო კომისიამ 2013 წლის 12 ივნისს #17717/3-113 კორესპონდენციით იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის სააგენტოდან გამოითხოვა ინფორმაცია თუ რომელ კომპანიებში ფლობს წილებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრი ბატონი ირაკლი ჩიქოვანი - ეკატერინე პაპუნიდის 2013 წლის 25 ივნისის #108464 კორესპონდენციით საგამოძიებო კომისიას ეცნობა, რომ ხსენებული პირის შესახებ ინფორმაციის მისაღებად საჭიროა მითითებულ იქნას პერსონალური ნომერი;
